# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცუღლუღობით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 17 ოქტომბერი, 2013 წელი.

№199 (7326)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.


## როგორმე ამ „ზამთარსაც“ გადავურჩებით!

**ანუ სიმონ, საქართველოს ნარჩენებზე ლგბტ-ელთა დროშა ხომ არ ფრიალებს?..**



③





⑥

## კოჰაბიტაცია თუ სამართლიანობის აღდგენა?

## ნაციონალები ხალხს მალულად ისევ უსმენენ ⑨

## ქიმიური იარაღის განადგურება და დიდი ჯილდო ⑤





## მაშინ რას იტყვით, ბატონო პრემიერო, როცა ხალხი წინ აღუდგება თქვენს გადაწყვეტილებას?! ④

## რა ჩანს ამოყრილ ბოძებს მიღმა? ⑧



**რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..**

ინფორმაცია

## დარახველიძის სამინისტროს მართლაც კარგად უმუშავია



**დევნილთა სამინისტრომ მუშაობის ერთწლიანი ანგარიში წარადგინა. გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრმა დავით დარახველიძემ 2012 წლის 25 ოქტომბრიდან დღემდე განხორციელებულ საქმიანობებზე ისაუბრა. მისივე განცხადებით, აღნიშნული დროიდან დღემდე სამინისტროს გაცემული აქვს 730 ბინა; 1 052 ოჯახს სიმბოლურ ფასად 1 ლარად, საკუთრებაში გადაეცა საცხოვრებელი ბინები; 60 ოჯახზე მეტს კი შეუძინეს სახლების საკარმიდამო მიწის ნაკვეთებთან ერთად.**

ამასთან, თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში სრულდება 16 ოცდაორსართულიანი კორპუსის მშენებლობა, რომელშიც განთავსდება 4 498 ბინა, კრწანისში, ფონიჭალის დასახლებაში შენდება ასევე 8 კორპუსი 2 130 ბინით, ხოლო ბათუმში 6 კორპუსი 1 155 ბინით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჯამში 7 785 ბინით 25 000 დევნილი დაკმაყოფილდება.

ასევე, მინისტრის განცხადებით, საცხოვრებელი პირობები გაუმჯობესდა 43 ობიექტში, აქედან 11 ობიექტს მერიასთან თანადაფინანსებით სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა. მისივე თქმით, გაიცა ერთჯერადი დახმარებები დევნილებისათვის. კერძოდ, ერთჯერადი დახმარება გაეწია 1 186 ოჯახს, რამაც ჯამში 220 000 ლარამდე თანხა შეადგინა, ბინის ქირა კი 142 ოჯახზე გაიცა და სულ ამ მიზნით 150 000 ლარზე მეტი დაიხარჯა.

დევნილთა განსახლების პროგრამის გარდა, მინისტრმა ასევე ისაუბრა დევნილთა სამედიცინო მომსახურების შესახებ და ყურადღება გაამახვილა დევნილთა ხელახალი რეგისტრაციის საკითხზე.

დავით დარახველიძის განცხადებით, ბოლო მონაცემებით, დევნილთა ხელახალი რეგისტრაცია დასრულებულია ქვეყნის რამდენიმე რეგიონში. იგი სრულდება აჭარაში, ქართლში. ამ მომენტისათვის რეგისტრაცია 120 000-ზე მეტმა დევნილმა გაიარა. რეგისტრაციის პროცესი 2 თვეზე მეტია მიმდინარეობს.

მინისტრმა აღნიშნა, რომ ძველი საბაზისო მონაცემებით, დევნილთა რაოდენობა 272 000 შეადგენდა. მისივე განმარტებით, დევნილთა რეგისტრაციის აქტივობა 70-დან 80%-მდე მერყეობს, რეგისტრაციის მომენტში ზოგიერთმა პირმა უარი განაცხადა რეგისტრაციაზე ან აღიარა, რომ დევნილის სტატუსი უკანონოდ ჰქონდა მინიჭებული და აფხაზეთში მუდმივი საცხოვრებელი არ გააჩნდა.

## წულუკიანი ყოფილი კოლეგების პასუხით გაკვირვებულია

**იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის განცხადებით, სტრასბურგის სასამართლოში რუსეთის წინააღმდეგ საქართველოს დავის საქმეზე გადაწყვეტილება 2014 წლის განმავლობაში გამოცხადდება.**



**როგორც თეა წულუკიანმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, დავა სტრასბურგის სასამართლოში საქართველო-რუსეთის წინააღმდეგ პირველი დავაა და ეხება 2006 წელს საქართველოს მოქალაქეების, ქართველების დეპორტაციას, გამოძევებას რუსეთის ტერიტორიიდან.**

— წელიწადნახევარი ხდება უკვე, რაც სტრასბურგის სასამართლოში დაიხურა, დასრულდა ზეპირი განხილვა და, შესაბამისად, ამ საქმის არსებითი შესწავლაც. ამიტომ, ჩვენ, როგორც მხარემ, იუსტიციის სამინისტრომ, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოს სტრასბურგის სასამართლოში, გამოვითხოვეთ ინფორმაცია, თუ რაშია საქმე. მივიღეთ პასუხი, რაც ჩემთვის გასაკვირი იყო, რომ 2014 წლის განმავლობაში იქნება გამოცხადებული გადაწყვეტილება, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, რაღაც კონკრეტული ინფორმაცია მაინც მივიღეთ, — განაცხადა თეა წულუკიანმა.

მისივე განცხადებით, ქართული მხარე ძალიან სერიოზულად მიადევნებს თვალს, თუ კონკრეტულად როდის და რა ვადებში გამოცხადდება მომავალ წელს ეს გადაწყვეტილება, რომელსაც ასობით საქართველოს მოქალაქე ელოდება.

## ზემო აფხაზეთს, შესაძლოა, სახელი შეეცვალოს

**ზემო აფხაზეთის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატი უქმდება. მის ნაცვლად კი ახალი სტრუქტურა — ზემო აფხაზეთში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა იქმნება.**

**ამ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ ყოლბაიამ ორი დადგენილება გამოსცა.**

კერძოდ, საქმე 2006 წელს აფხაზეთის მთავრობის ფარგლებში შექმნილ სტრუქტურას ეხება, როცა კოდორის ხეობას, სამხედრო ოპერაციის შემდეგ, პრეზიდენტის განკარგულებით, ზემო აფხაზეთი ეწოდა და ზემო აფხაზეთში აფხაზეთის მინისტრის აპარატი ჩამოყალიბდა.

ვახტანგ ყოლბაიას მიერ გამოცემული დადგენილების თანახმად, 11 ნოემბრამდე ზემო აფხაზეთის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატის ლიკვიდაცია უნდა განხორციელდეს. ამ მიზნით სალიკვიდაციო კომისია შეიქმნა, რომელმაც 11 ნოემბრამდე უნდა უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საკადრო, მატერიალურ-ტექნიკური, სამართლებრივი და სხვა შესაბამისი ღონისძიებების გატარება, მინისტრის აპარატის ბალანსზე რიცხული ქონების სრული ინვენტარიზაცია და აფხაზეთის ეკონომიკის სამინისტროსთვის გადაცემა, ასევე, სალიკვიდაციო ბალანსის შედგენა.

ამავე დადგენილებით, აფხაზეთის ფინანსთა სა-



მინისტროს მინისტრის აპარატის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით აფხაზეთის ბიუჯეტში ცვლილებების განხორციელება დაევალა. ასევე 11 ნოემბრიდან ძალადაკარგულად ცხადდება „აფხაზეთის მთავრობაში, ზემო აფხაზეთის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის თანამდებობის შემოღების, ზემო აფხაზეთის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის მთავრობის 2006 წლის 18 სექტემბრის დადგენილება.

ამასთან, ყოლბაია მიიჩნევს, რომ ზემო აფხაზეთს სახელი უნდა შეეცვალოს, რადგან „ის ხელოვნურია და რეალურად კოდორის ხეობაა“. ყოლბაია ზემო აფხეზეთისთვის სახელწოდების შეცვლას საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ელის, რადგან 2006 წლიდან კოდორის ხეობას ზემო აფხაზეთი სწორედ პრეზიდენტის მიერ გამოცემული ნორმატიული აქტის საფუძველზე ჰქვია.

**ინტერპრესი**

ერიჯა!!!

# მოწამეთა სააკაშვილს აუშენებია(?!)

**ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა, მეუფე კალისტრატემ ტრადიცია დაარღვია და მოწამეთაში ხუთი წუთით „შერბენილი“ პრეზიდენტი ტაძრის ეზოში მიიღო.**

**თუ წლების განმავლობაში მეუფე სულიერ შვილს - მიხეილ სააკაშვილს იმერეთში პატივით იღებდა, დავით აღმაშენებელს უწოდებდა, ამბიონიდან ლოცავდა და საჩუქრებს ჩუქნიდა, ამჟამად მეუფე მხოლოდ თბილი დახვედრით შემოიფარგლა.**

კერძოდ, მოწამეთას დღესასწაულთან დაკავშირებით, სააკაშვილი ქუთაისს შუადღეს საათზე ეწვია. ტაძრის ეზოში კი, მას სულიერი მამა დახვდა და დიდი სითბოთი მიიღო. თუმცა, საგულისხმოა ერთი დეტალი — მეუფემ მოწამეთას მიმდებარე ტერიტორია მანამდე დატოვა, სანამ მიხეილ სააკაშვილი ტაძარში შევიდა. წლების განმავლობაში, მეუფისგან „განებივრებულ“ სულიერ შვილს დღეს, სანთლის ანთებაც მარტოს მოუწია, მაგრამ საინტერესოა ის, თუ რა გახდა მეუფის ამგვარი „მასპინძლობის“ მიზეზი. შესაძლოა, ეს 11 ოქტომბერს წმინდა სინოდის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებსაც უკავშირდებოდეს, სადაც რამდენიმე მოძღვარს მსახურების უფლება ჩამოართვეს.



მართალია, მოწამეთაში პრეზიდენტის სტუმრობა სულ რამდენიმე წუთს გაგრძელდა, მაგრამ მის მიმართ საზოგადოების ნაწილმა აგრესია გამოხატა, მეორე ნაწილმა კი, მისი ხილვით სიხარული ვერ დამალა და მასთან ფოტოსესია მოაწყო.

სააკაშვილმა მოწამეთას ტაძრის აღდგენის პროცესში „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების თანამონაწილეობაზე და „აღმშენებლობის ეპოქაზე“ ისაუბრა, თუმცა, მანამდე მას ერთ-ერთ ქალბატონთან შელაპარაკება მოუვიდა, რომელმაც მედიის წარმომადგენლებს უსაყვედურა — **„რას მისდევთ, ამისთვის იკლავთ თავს?!“**. პრეზიდენტს ამ ქალბატონის რეპლიკა არ ესიამოვნა და მას ჟესტიკულაციით მიმართა — **„ეს ეკლესია, სხვათა შორის, ჩემი აშენებულია!“**

**„აქ პირველად, 90-იან წლებში ვიყავი. მაშინ, ამ ტაძარს ძალიან კარგი წინამძღვარი ჰყავდა. გაგი მოსეშვილი დარბაისელი, ინტელიგენტი კაცი იყო. ადრე, აქაურობა ძალიან მძიმე მდგომარეობაში იყო და მაშინ, მამა გაგიმ მითხრა — მე ვერ მოვესწრები, მაგრამ მინდა, გთხოვოთ, რომ ტაძარს ხელი შეავლოთო. წინა წლებში, სამუშაოები ჩავატარეთ და მოწამეთა ჩემი სიამაყის საგანია. ეს ტაძარი ქართველ ერს ძველი ბრწყინვალებით დავუბრუნეთ. ეს არის ერთ-ერთი ტაძარი, რომელიც ბოლო პერიოდში აღდგა. ამდენი ეკლესია არასოდეს აღდგენილა და ეს იყო წლები „ქვათა შეგროვებისა და არა გაბნევისა“. აღმშენებლობის ეპოქამ ამ ტაძრების მშენებლობა მოიტანა და ვცდილობ, რომ ამ ადგილას ყოველთვის მოვიდე“, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.**

აღსანიშნავია, რომ მოწამეთაში პრეზიდენტის სტუმრობა აღნიშნული ქალბატონის გარდა, კიდევ რამდენიმე პირმა გააპროტესტა და მათ იმ აჟიტირებულ ხალხს მიმართეს, რომლებიც ქვეყნის პირველ პირთან ფოტოებს იღებდნენ. **„რამ გაგაგიჟათ, სააკაშვილი ღმერთი ხომ არ არის?!“**

მეუფე კალისტრატეს გარდა, ტრადიცია იმ დღეს ქვეყნის პირველი პირის დაცვამაც დაარღვია. გასულ წლებთან შედარებით, დაცვის სამსახურის წარმომადგენლები მედიის წარმომადგენლებს შედარებით ლოიალურად ეპყრობოდნენ, თუმცა, ერთ-ერთმა ქუთაისელმა მრევლს მაინც მოუწოდა **„არ გაიწიოთ, რას გვიზამს გადაგვივლის?!“**

**თეონა მანაგაძე**

კაკალ გულში

# წერტილოვანი ფრაზები

● ახალი ტექსტი ძველ სიმღერაზე! „ნასედკების“ ქვეყანა! მთავარი შედეგი, იმის მიუხედავად, რამდენად ზნეობრივია თუ არაზნეობრივი ასეთი მასალების გამოქვეყნება, უნდა იყოს ის, რომ ასეთ „საქმიანობაში“, შემჩნეული „პოლიტელიტა“ ტოვებდეს პოლიტიკურ ასპარეზს...ამიტომ აუცილებელია ახალი არჩევნები, ახალი მინისტრთა კაბინეტის შექმნა და ლუსტრაციის კანონის ამუშავება! „ნასედკები“ რომელ პატიოსან კაცს გაახარებენ? მოკლედ 27-ის შემდეგ დავიწყოთ, ბატონო ბიძინა, შენ არ გეწყინოს, მაგრამ ამათი დატოვება ჩვენი ქვეყნის დასამარებაა, ჩვენი ოჯახების განადგურება, მომავალი თაობის გახრწნა, განაცებთან ერთად,კრემლის, და ცრუ-ს აგენტებიც უნდა მივარეცხოთ, თორემ ისე არაფერი გამოვა. მძიმე შესასრულებელი ამოცანაა, შეიძლება წლები დაჭირდეს, მაგრამ თუ არ დავიწყეთ, ვერასდროს დავამთავრებთ! დავიწყოთ ლუსტრაციის კანონზე მუშაობა.




● გინდა ყავაში ჩაუხედია ბრუტიან ანჟელას და გინდა ქრონიკა+ გიყიდია.

● კეზერაშვილი დაუჭერიათ, იმედია, მსხლის დაბლენდერებაზე არ გაასამართლებენ.

● კლასის ბანკეტის კასეტა დავკარგე და ნეტა ელისოს ხო არ ექნება ასლი?

● ერთი გადაცემა ვიცი. — მოიწვევენ ტელეწამყვანები სტუმარს, დასვამენ და უზიარებენ თავიანთ მოსაზრებებს სხვადასხვა თემებზე. თუ რესპონდენტი მოკრძალებულად („მომისმინეთ ცოტა ხანი...“, „თუ შეიძლება მათქმევინეთ...“, „ერთი წამი მაცალეთ...“, „შეიძლება ვთქვა?..“) მოინდომებს ჩაერთოს საუბარში, მას მკაცრად ტუქსავენ და თავის ადგილს მიუჩენენ...

ორიგინალური გადაცემა გამოდის და ამიტომაც ინტერესით ვუყურებ ყოველთვის.

● ჭია ჭია მაია
ხვალ თუ კაი დარიააა,
კილაძე ელისოო გვითხარი
რა გველისოოო.

● პატიმრებს ჩვენი ფულით რომ ვინახავთ, ფაქტია (ღმერთმა შეარგოთ), მარა ჩემი ბედი რომ ვიცი, ლიჩნად ჩემი გადახდილები იმენნო ბაჩოს და ვანოს ინტერნეტის და ტელევიზორის გადასახადებზე მიდის. რაზვე ეტო ნარმალნო?

**ამოკრიბა**
**გია გაბრიჭიძე**

# როგორმე ამ „ზამთარსაც“ გადავურჩებით!

## ანუ სიმონ, საქართველოს ნარჩენებზე ლგბტ-ელთა დროშა ხომ არ ფრიალებს?..



**გერასიმეს პასაჟი ერთი ქართული ფილმიდან ბელაფონტეს შესახებ, იმედია გემახსოვრებათ და ამიტომ მის პერიფრაზსაც ადვილად გაიგებთ. ჰოდა, მეც სვიმონი უნდა მეთქვა, სვიმონ მასხარაშვილი, რომელიც ისტორიკოსობაზე პრეტენზიის მქონე კაცია, მაგრამ ამ ცოტა ხნის წინათ ისეთები „მოხია“ ეკა ხოფერიას ახალ თოქ-შოუში, საბოლოოდ დაამტკიცა, რომ სვიმონი კი არა, „სიმონა“ და თანაც მასხარა ყოფილა, ხოლო „სიმონა“ რასაც ნიშნავს თბილისურ ჟარგონზე, ყველამ იცის, ნუ, სიმონა, „სიმონაა“, რა!**

**ბაგრატის ტაძარი საბოლოოდ რუსმა გენერალმა ალექსი ერმოლოვმა დაანგრია 1820 წელსო, მერე პუშკინსაც გადასწვდა ეს სიმონა — ჩემთვის პუშკინი უფრო დიდი დამპყრობელია, ვიდრე ერმოლოვი, რადგან დიდი პოეტი დითირამბებს უძღვნიდაო კავკასიის მთავარმართებელს(?!) და ბოლოს, ამ მართლა „სიმონმა“ ისეთი სისულელე დაახეთქა, რომ მასხარაობა იქით იყოს და სიმონას ჯანმრთელობაში შემეპარა „გონივრული ეჭვი“...**

**— ჩვენი მიზანი კრემლის ნანგრევებზე ქართული დროშის აფრიალება უნდა იყოსო!**

**აბა, ამის მთქმელი კი არა, გამფიქრებელიც კი ნორმალურია? ჰოდა, არ ვიცი, შექანებულ ისტორიკოსს ნატვრა როდის აუხდება, მაგრამ ის კი ვიცი და ვხედავ, რომ მსგავსი აღვირახსნილი ურაპატრიოტიზმის გამოა, რომ საქართველოს ნარჩენებზე 20 წელიწადია ამერიკული დროშა ფრიალებს!..**

უნდა ვაღიარო, რომ ანტირუსული, ურაპატრიოტული განწყობები მეც მქონდა ჯეელობაში. განსაკუთრებით 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ, რომლის არა თუ მოწმე, აქტიური მონაწილეც ვიყავი, ყველაფერი რუსული მაღიზიანებდა. აქედან გამომდინარე, ნებისმიერ ფაქტს რუსული მმართველობის სისასტიკისას, რომ იტყვიან, დღისით სანთლის შუქზე ვეძებდი, მაგრამ, რაც შეეხება ბაგრატის ტაძრის „საბოლოოდ დანგრევას“ ერმოლოვის მიერ, ამაზე არაფერი მსმენია და სიმონას „აღმოჩენის“ შემდეგ საკუთარ თავზე გავბრაზდი — ამ სიმონამ როგორ მაჯობა-მეთქი, მაგრამ...

**ახლა, წერილზე მუშაობისას, მთელი ინტერნეტი გადავქექე და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ XVII საუკუნის დასასრულამდე ბაგრატის ტაძარი პირველქმნილი მშვენიერებით მდგარა და ვახუშტის ცნობით, 1692 წელს „შემუსრეს ოსმალთა“. ხოლო, XIX საუკუნის 30-იან წლებამდე ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო ტაძრის სამხრეთი და დასავლეთი კარიბჭეები, რასაც რუსი მხატვრის ნ. ჩერენცოვის ნახატებიც მოწმობს!**

**ასე რომ „სიმონა ისტორიკოსი“ ამ შემთხვევაში ურცხვად ტყუის!**

აქედან გამომდინარე, ბაგრატის ტაძრის „საბოლოო დანგრევა“ სწორედ „სიმონა ისტორიკოსის“ საყვარელი პრეზიდენტ სააკაშვილის „აღმშენებლობის“ გამო მოხდა — სამუდამოდ ამოიღეს ეს ძეგლი იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის სიიდან!..

რაც შეეხება „სხვა შემთხვევებს“, აქაც ვერ არის ბოლომდე მართალი „ჩვენი სიმონა“ — კი ბატონო, გენერალმა ერმოლოვმა სისხლში ჩაახრჩო 1819-20 წლების გურია-იმერეთის აჯანყებები (აბა რას იზამდა დამპყრობელი?), მაგრამ იგი მთელი კავკასიის მთავარმართებელი გახლდათ და, უწინარესად, ჩრდილოეთ კავკასიის დაპყრობით გაითქვა სახელი, სადაც ერთიმეორის მიყოლებით გააუქმა პატარა სახანოები და იმპერიული წესრიგი დაამყარა ოსმალეთის აშკარა მოკავშირე (ანუ რუსეთ-საქართველოს მტერ) ამ რეგიონში!

ამიტომაც წერდა აღფრთოვანებით რუსების რუსთაველი, გენიალური პუშკინი — **„ძრწოდე კავკასიავ, ერმოლოვი მოდის“,** რაც ასევე მისაღებ-გასაგებია რუსეთის პატრიოტი რუსი პოეტისგან — მაშ რა უნდა ექნა, იმისთვის, რომ 200 წლის შემდეგ სიმონას რისხვას არიდებოდა, პუშკინს „ენჯეო“ უნდა ჩამოეყალიბებინა და ოპოზიციაში ჩასდგომოდა საკუთარ, თუნდაც იმპერიულ, მაგრამ მაინც სამშობლოს?

**იქნებ გენიალური რუსთაველი ამუნათებდა თამარ მეფესა და მის სპასალარებს დამპყრობლურ-მოთარეშე ლაშქრობებისა გამო? — ერთ-ერთი ასეთი „რეიდის“ დროს ხომ ლამის ინდოეთს უწიეს ქართველებმა და მხოლოდ იმიტომ გამობრუნდნენ უკან, რომ ნაალაფარი ქონების ზიდვა ველარ შეძლეს?**

უკანა გზაზე კი, როდესაც ერთ-ერთ ირანულ ქალაქში დატოვებული მცირერიცხოვანი ციხიონი განადგურებული, მეციხოვნეთა თავები კი ქალაქის გალავანზე ჩამოცმულები იხილეს, დიდიან პატარიანად გაჟუჟეს ამ დასახლების მცხოვრებლები ქართველებმა — ასეა, სისასტიკე და სისხლი ყველა იმპერიის ობიექტური მახასიათებელია და ამ მხრივ რუსეთის განსაკუთრებულობის წარმოჩენა უაზრობაა!

**ყველგან და ყოველთვის აჯანყებები, მეტროპოლიასთან ურჩობა სისხლში იხშობოდა და დღესაც ასეა!**

— რა, ინგლისი რუსეთზე ნაკლებად სასტიკი იმპერია იყო? 200 წლის წინათ ბრიტანეთის მონარქიამ სისხლის ტბები არ დააყენა დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ აშშ-ში? თუ მოგვიანებით ბურებთან ომში ყვავილებს ესროდა „დემოკრატი“ უინსტონ ჩერჩილი აჯანყებულებს დღევანდელ სამხრეთ აფრიკაში, სადაც, სხვათა შორის, სწორედ ბურებთან ომის დროს შექმნეს ბრიტანელებმა ისტორიაში პირველი საკონცენტრაციო ბანაკები?

ცხინვალს ვინც ბომბავდა ის პილოტი რუსებმა გმირად შერაცხესო და შორეულ არგენტინაში ფოლკლენდის კუნძულები რომ „დაადუღეს“ „დემოკრატი“ მარგარეტ ტეტჩერის ბრძანებით, ის პილოტები ბრიტანეთში ანტიგმირები არიან?

**აღარაფერს ვიტყვი აშშ-ის იმპერიულ ამბიციებზე, იმაზე რომ თუ არა რუსეთი და ვლადიმერ პუტინი, სირიაში ნატოს აგრესია მესამე მსოფლიო ომის ფასად შეიძლებოდა დასჯდომოდა კაცობრიობას...**

მგონი ცოტა ავცდი წერილის თემას. თუმცა არა, ჩემი მიზანი არ ყოფილა მხოლოდ „მასხარა სიმონას“ სისულელეებზე ლაპარაკი. „კრემლის ნანგრევებზე საქართველოს დროშის აფრიალების ბოდვითი იდეა“ მხოლოდ საბაბი აღმოჩნდა წინამდებარე წერილის დაწერისა. თავი და თავი მიზეზი კი ზოგადად ქვეყანაში აგორებული მორიგი ურაპატრიოტული ანტირუსული ისტერიაა, რომელიც თითქოს 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ისტორიას ჩავაბარეთ, მაგრამ...

გაგიკვირდებათ და, ესეც კოჰაბიტაციის შედეგია — ყოველმხრივ გაკოტრე-

**არ უნდა გვიბედავდნენ, მიშაც და მისი კრიმინალური ბანდაც, ციხეში უნდა იჯდეს დიდი ხანია!**

ე.წ. „რებრედინგისთვისაც“ არ შეიწუხეს თავი — ძველი, ოდიოზური სახეები არათუ ჩამოიშორეს, არამედ სისხლის სამართლის დამნაშავე სააკაშვილი და ვანო მერაბიშვილი, შესაბამისად პარტიის თავმჯდომარედ და გენერალურ მდივნად დაამტკიცეს ხელახლა, რაც ქართველი საზოგადოების აშკარა შეურაცხყოფაა!

ცხინვალის რეგიონში მავთულხლართების და ერთ-ერთ მეჩირაღდნედ რუსი მფრინავის არჩევის პასუხად, სოჭის ოლიმპიადის ბოიკოტი! აი, მთავარი თემა მორიგი ურაპატრიოტული კამპანიისა, რომელიც, ერთი შეხედვით, უეცრად, სპონტანურად აგორდა, მაგრამ თუ დავაკვირდებით, არც ისეთი „უეცარსპონტანურია“ ეს ყოველივე...

**ვიღაცა ხომ აფინანსებს და ორგანიზებას უკეთებს ამ აქციებს? ჰოდა, თუ ვარდისფერ სათვალეებს მოვიხსნით, დავინახავთ, რომ ეს „ვიღაცა“, დასავლეთიდან ფინანსირებული, პრონაცური, პრომიშისტური „ენჯეოები“ და ნაცების მსუყე ბაგაზე მიბმული „ცნობადი სახეები“ არიან.**

აგერ ახლაც, წერილზე მუშაობისას შევიტყვე, რომ ვარდების მოედანზე სამსაათიანი კონცერტი-პროტესტი იწყება აჩიკო გულედანის, ზუმბას, ნიაზ დიასამიძის და ძმათა მათთა მონაწილეობა-თაოსნობით. ეს ის ხალხია, რომლებსაც 9-წლიანი ნაცტერორის დროს საპროტესტო კონცერტი კი არა, „სუსპი არ გაუღიათ“ და როცა ხალხი ტიროდა და

ბული ნაცების ერთადერთი პოლიტიკური ნიში მათ დროს არსებული „წარმატებული საგარეო პოლიტიკაა“. ანუ, ნატო, ნა-ტოს უაზრო სკანდირება და „ნაცების ძალისხმევის“ შედეგად გარანტირებული ე.წ. არაღიარების პოლიტიკის გაგრძელება დასავლეთის მხრიდან და ა.შ. სხვა მრავალი სახის ურაპატრიოტული რახა-რუხი, რაშიც, სამწუხაროდ, ქართული ოცნებაც და მეტ-ნაკლებად პირადად პრემიერიც წარმატებით აიყოლიეს!

**თუმცა, რაღა რახა-რუხი? სპორტის სასახლეში ისეთი პომპით ჩაატარეს ყრილობა, რომ აშკარაა, არჩევნებიდან წლისთავზე დასავლეთის თვალში სრული რეაბილიტაცია მოახდინეს იმ პარტიისა, რომელთა აქტივისტები მი-შა, მი-შას სკანდირებას კი**

კვნესოდა, ეგენი ნაციონალების სალაფავს თქვლეფდნენ!

მაგრამ, როგორც იტყვიან — „бог сними с убогими“ და რეალურად რა ხდება ცხინვალის რეგიონში?

**ჩემი აზრით, მავთულხლართების გაბმა სხვა არაფერია, თუ არა რუსების მკაფიო გზავნილი ქართველი ხალხისთვის — აი, ხედავთ, რასაც, როგორც და როცა მინდა ვაკეთებ და სად არიან თქვენი დასავლელი სტრატეგიული პარტნიორები და მეგობრები, ფეხები არ მომჭამონო?!**

მართლაც, ჩვენი დასავლელი „მეგობრები“, როგორც ყოველთვის ბოლო 20 წლის მანძილზე, ახლაც ჩვეულებისამებრ მხოლოდ შფოთავენ, ოხრავენ და საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას მგზნებარედ უჭერენ მხარს!..

არადა, ეს ე.წ. არაღიარების პოლიტიკა, რომ უწინარესად თავად რუსეთის ინტერესებშია, ამაზე არავინ საუბრობს! — დიახ, ასეა, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, რუსეთს არ გაუჭირდებოდა საკუთარი მოკავშირეების დაყოლიება და ვანუატუ, ნიკარაგუა ვენესუელასთან ერთად, როგორც მინიმუმ, არაბული სამყაროს ნახევარი მაინც აღიარებდა სოხუმ-ცხინვალის დამოუკიდებლობას და ამას იმიტომ არ აკეთებს რუსეთი, რომ არ აწყობს, სოხუმ-ცხინვალი რეალურად გახდეს საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, რადგან, „მადა ჭამაში მოდისო“ და ემანდ აფხაზ-ოსებმა მეტი არ მოინდომონ და რუსეთის ერთპიროვნულ, ფაქტობრივად კოლონიურ მმართველობას ამ რეგიონებში საფრთხე არ დაემუქროს!

**ან იგივე ევრაზიული კავშირის თემა ავიღოთ, რომელიც, კაცმა არ იცის, რეალურად შედგება თუ არა, მაგრამ მის მიმართ ისტერიული დამოკიდებულება უკვე იქცა საქართველოში ერთგვარ ტესტად პროდასავლური ორიენტაციისა — რატომ არაფერი ისმის რუსეთისგან სოხუმ-ცხინვალის ამ კავშირში შესაძლო გაწევრებაზე? რა, ვინმე, ან რამე შეუშლის რუსეთს ხელს ამ საქმეში?**

არაღიარების შესახებ ზემოთ თქმულის გარდა, ჩემი ღრმა რწმენით, ამას კიდევ იმიტომ არ აკეთებენ რუსები, რომ საქართველოს ჰქონდეს შანსი, მასთან ერთად, ანუ, ჩვენი ეგიდით, და არა როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური სუბიექტები, გაწევრიანდნენ ეს რეგიონები ევრაზიულ კავშირში, რაც სამომავლოდ უთუოდ წაადგება ჩვენი ქვეყნის ფაქტობრივ გამთლიანებას!

დიახ, ფაქტობრივად, რადგანაც ძველი სტატუს-კვო ამ რეგიონების მიმართ, ალბათ, არასოდეს აღდგება. ყოველ შემთხვევაში, ამ საუკუნეში ეს არ მოხდება და ეს მწარე რეალობა უნდა მივიღოთ ქართველებმა, როგორც ობიექტური მოცემულობა — ლტოლვილების დაბრუნება თუ მოხერხდა, ანუ, დე ფაქტო თუ აღდგა სოხუმ-ცხინვალზე თბილისის გავლენა, ამაზედაც დიდი მადლობა უნდა ვუთხრათ რუსეთს!

**სხვა დანარჩენი, ვინც და რასაც არ უნდა დაგვპირდნენ პოლიტიკოსები, ვიმეორებ, მხოლოდ იაფფასიანი პოპულიზმი და ურაპატრიოტული რახა-რუხია!**

არც სრული დეოკუპაცია მოხდება ბოლომდე — ამ რეგიონში რუსეთი გააგრძელებს მეტ-ნაკლები დოზით სამხედრო ყოფნას, რადგან კაცმა არ იცის, როდის ავირჩევთ ქართველები მორიგ სააკაშვილს, რომელიც ერთიანად, უკაცრავად და, გადააშარდავს რუს-ქართველთა თანაცხოვრების ორსაუკუნოვან ისტორიას და მორიგ ისტორიულ უმადურობას გამოავლენს რომელიმე „ისტორიული მეგობრის“ სასარგებლოდ!

**რუსეთის მცოცავ ოკუპაციაზე რომ „ვენებს ვიხსნით“, ბათუმი რომ პრაქტიკულად თურქული ქალაქია და თბილისის „პლეხანოვი“ სტამბოლის პროსპექტი, ამას როგორი ოკუპაცია ჰქვია, მცოცავი, მხოხავი თუ მოხტუნავე? ისე, ვის უფრო მეტი ტერიტორიები აქვს მიტაცებული და ქართველების სისხლი დაღვრილი, რუსებს თუ თურქებს?**

არც ის არის შემთხვევითი, რომ, თითქოს ვიღაცამ ჯადოსნური ჯოხი აიქნიაო, ბრაზილიური სერიალები შეწყდა და უკლებლივ ყველა, ე.წ. ნაციონალურ მაუწყებელ არხებზე თურქული სერიალების ჩვენება დაიწყო — ნახეთ, რა კულტურული, მშვიდობიანი ხალხია ჩვენი „ისტორიული მეგობარი“ თურქეთი.

იხ. 7 გვ.

ვითხოვ ყურადღებას!

# მაშინ რას იტყვით, ბატონო პრემიერო, როცა ხალხი წინ აღუდგება თქვენს გადაწყვეტილებას?!

**ბოლო ათი წელიწადი საქართველოს მატიანეში შევა როგორც სამარცხვინო და საძულველი პერიოდი ნაციონალებად წოდებული შავბნელი ძალების ბატონობისა, როცა ქვეყანაში მძვინვარებდა სრული უწესრიგობა, ფეხქვეშ ითელებოდა ადამიანის უფლებები...**

**საყოველთაო გაოცებას იწვევს ისიც, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლებში ნაწრთობმა ქართველმა ხალხმა მთელი ათი წელი მოანდომა ამ უსასტიკესი ავტორიტარული რეჟიმისგან თავის დაღწევას.**

ქართული ეროვნული ჩარჩოებიდან ამოვარდნილი და განვითარების სწორ გზას აცდენილი ჩვენი ხალხი, ყოვლად საძულველ უბოროტეს ძალებთან გამარჯვების შემდეგაც აწყდება უამრავ პრობლემას. ამის მიუხედავად, „ქართული ოცნება“, საქართველოს დღევანდელი ეპოქის ნამდვილი გმირის ბიძინა ივანიშვილის წინამძღოლობით, შესაძლებლობის მაქსიმუმს აკეთებს, რომ, რაც შეიძლება მოკლე ვადებში დაძლიოს ის წინააღმდეგობები, რომლებიც აფერხებენ ქვეყნის წინსვლას და წარმატებებს.



რა შეიძლება ითქვას ქვეყანაში მომრავლებული „ურწმუნო თომების“ შესახებ? — დროა ღრმად შეიგნოს ყველამ, მტერმაც და მოყვარემაც, კოჰაბიტაციის უჩვეულო პირობებში (რაც ხელისუფლების სავსებით სწორ კომპრომისად და დასაშვებ ექსპერიმენტად უნდა მივიჩნიოთ), მეტის გაკეთება შეუძლებელია. ისიც ცხადია, რომ ხელისუფლების მიერ გათვლილი ქვეყნის აღმშენებლობის კურსის სისწორე არავითარ ეჭვს არ იწვევს და ის დაპირებები, რაც ბატონმა ბიძინამ აღუთქვა ქართველ ხალხს, აუცილებლად შესრულდება.

**ამ დროს მეტად არასასიამოვნოდ გაისმის ხმები ოპონენტთა და მოწინააღმდეგეთა ბანაკიდან იმის თაობაზე, რომ თითქოს პრემიერ-მინისტრმა უკვე დაყარა ფარ-ხმალი და სააკაშვილის ავტორიტარულ რეჟიმთან შერიგების გზას დაადგა. ეს უკვე მეტისმეტია!..**

... ხალხი ყველაზე სწორი ბარომეტრია, ამიტომაც ჩვენ მოვალენი ვართ, ანგარიში გავუწიოთ მის ნება-სურვილებს. ოთხი ათასი ქართულენოვანი მოქალაქის გამოკითხვამ ცხადყო, რომ 71-მა პროცენტმა (თვრამეტის წინააღმდეგ) არ გაიზიარა ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილება საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ პრემიერ-მინისტრობიდან გადადგომის შესახებ, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ ახალ ხელისუფლებას და პერსონალურად პრემიერ-მინისტრს მხარს უჭერს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა.

ბატონო პრემიერო! — ქართული საზოგადოება ამ გადაწყვეტილებას თავიდანვე ზარ-ზეიმით არ შეხვედრია, და შემდგომშიც ბევრი უარყოფითი თვალსაზრისი გამოითქვა. **ზოგიერთმა ოპონენტმა ისიც კი იკადრა, რომ ბიძინა ივანიშვილი ამ უაღრესად კრიტიკულ მომენტში გადამწყვეტი ბრძოლის ფრონტიდან გაქცევას აპირებსო.**

**მაშ რა მოხდა, ასე გულდაჯერებით რამ დაგარწმუნათ, რომ ქვეყნის წინამძღოლობიდან წასვლის შემდეგ უფრო მეტს გაუკეთებთ სამშობლოს, ვინემ დღეს, როცა მთელი ძალაუფლება ხელთ გიპყრიათ. მით უფრო, თუ თქვენი ძირითადი მიზანდასახულობა სამოქალაქო სექტორის ჩამოყალიბებისა და ამოქმედებისთვის დღევანდელი პოზიციიდან არანაკლებ ეფექტურად შეიძლება განხორციელდეს.**

როცა უკვე ნაცმოელთა ჯოჯოხეთური რეჟიმის დამხობის შემდეგ დაძლეულია ერთი მეტად მძიმე ბარიერი, ქვეყანაში მთელი ძალით იჩინა თავი ახალმა არანაკლებ მნიშვნელოვანმა პრობლემამ — ჯერ მოვიშუშოთ ღრმა ჭრილობები, რაც უბოროტესმა ძალებმა მოგვაყენეს და შემდეგ გონივრულად გავუძლევეთ სახელმწიფოს. ასეთ ვითარებაში პრემიერ-მინისტრის აქტიური სამოღვაწეო ასპარეზიდან წასვლის შემდეგაც არსებობს რეალური საფრთხე იმისა, რომ ქვეყანა ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობაში აღმოჩნდეს, როცა სახელმწიფოს არ ეყოლება ღირსეული მეთაური. თუკი ეს აზრი არ გავითვალისწინეთ, სულაც არ არის გამორიცხული, რომ კვლავ თავი იჩინოს ახალმა განუკითხაობამ.

არსებული სიტუაციის საფუძვლიანად გაანალიზების და ამ საკითხზე კიდევ ერთხელ ღრმად დაფიქრების შემდეგ საჭიროა გაკეთდეს უფრო დამაჯერებელი დასკვნა, რომელიც უეჭველად მიგვიყვანს იმ ჭეშმარიტებამდე, რომ აქტიურ პოლიტიკას თქვენ უფრო სჭირდებით, ვინემ სხვა ვინმე, რისთვისაც იქნებ სჯობდეს შეცვალოთ გადაწყვეტილება და დარჩეთ პრემიერ-მინისტრად.

აქვე დავძენთ, რომ თქვენი გადაწყვეტილება არ შეიძლება განვიხილოთ სხვა პრობლემებთან კავშირის გარეშე, მათ შორის ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანია პრეზიდენტად თქვენთვის სასურველი პიროვნების არჩევა. შეიძლება, სავსებით დავეთანხმოთ ქვეყანაში გავრცელებულ აზრს, რომ თუ ამ არჩევნებში გაიმარჯვებს გიორგი მარგველაშვილი, გარკვეულწილად ეს ბიძინა ივანიშვილის დამსახურება იქნება. ამიტომაც, თქვენი გადაწყვეტილების შესახებ არჩევნებამდე ორი თვით ადრე გამოცხადებამ, უთუოდ გამოიწვია მარგველაშვილის საზიანოდ ხმების გარკვეული რაოდენობის დაკარგვა, რის გამოც იგი შეიძლება არც აირჩიონ პრეზიდენტად.

პოლიტიკური აზროვნება მოითხოვს ყოველ საკითხში ღრმად და ობიექტურად ჩაწვდომას, როცა თვალსაზრისი ემყარება სუბიექტურ მიზნებს, კარგავს ღირებულებას. როგორც ქართველი ბეჭდვური სიტყვა გვამცნობს, ბევრი პატივცემული და საქვეყნოდ აღიარებული პიროვნება უაღრესად შეშფოთებულია პრემიერ-მინისტრის ამ ყოვლად გაუმართლებელი გადაწყვეტილების გამო და დიდად განიცდის მას. მათ შორის მთელს საქართველოში და მის საზღვრებს გარეთაც ფართო რეზონანსით გამოირჩევა ქართული სიტყვის დიდოსტატის, მგზნებარე მამულიშვილის რეზო ამაშუკელის პიროვნება. მისი ბასრი სიტყვა გულში ჩამწვდომი და იმედის მომცემია ქართველი კაცისთვის და ტყვიით სავსე ყუმბარაა სამშობლოს გამცემი ყოველი ბოროტი და ავისმქმნელი ადამიანისთვის.

**„ბატონი ბიძინა ივანიშვილი თავის თავს არ ეკუთვნის,** — წერს რეზო ამაშუკელი **— ის უკვე ეკუთვნის ისტორიას, ის ეკუთვნის აწმყოს და მომავალს და ამის გამო მას არ აქვს უფლება იფიქროს მხოლოდ იმაზე, რის შესახებაც გააკეთა განცხადება!.. ბატონო ბიძინა, ნუ წაგვამწარებთ თავისუფლების იმ დიდ სიხარულს, რაც თქვენ, ერთმა კაცმა მოიტანეთ!.. ეს არ არის მხოლოდ ჩემი აზრი, ეს არის მთელი ერის აზრი!.. თქვენ უფლება არ გაქვთ ხალხის ნებას შეეწინააღმდეგოთ“.**

რა შეიძლება ამაზე მეტი ითქვას? ყურადსაღებია პოეტის გამაფრთხილებელი სიტყვებიც იმის თაობაზე, რომ **„ვინმეს ენა არ შეუბრუნდეს ივანიშვილზე ცუდის სათქმელად, რადგანაც ეს იქნება უბედურება ჩვენი მხრიდან...**

ქართველი ინტელიგენციის უმრავლესობა, პოლიტიკურ მოღვაწეთა, სახელმწიფო მოხელეთა, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილი, რომლებიც ქმნიან ქართულ ელიტურ სამყაროს, მადლიერია ბიძინა ივანიშვილისა, რომელმაც საქართველო დაღუპვას გადაარჩინა. ამ დროს, როგორ შეიძლება არ შევეპასუხოთ ენაწაგდებულ ცალკეულ ოპონენტებს, რომლებიც ყოვლად დაუფიქრებლად, წარამარა ისვრიან უგვან სიტყვებს და ივანიშვილის უსაგნო კრიტიკით შეურაცხყოფას აყენებენ არა მხოლოდ პრემიერს, არამედ მთელს საქართველოს!

დავუბრუნდეთ ისევ უმთავრესს.

**ბატონო პრემიერ-მინისტრო! ცხადია, თქვენი სურვილის განხორციელებას უფრო მეტი შანსი აქვს, მაგრამ, როგორც ზემოთ ითქვა, ქართველი ხალხის და საქართველოში მცხოვრები სხვა ხალხების სურვილებიც არანაკლებ მნიშვნელოვანია. საინტერესოა, რას იტყვით და როგორ მოიქცევით მაშინ, როცა ერთიანად ფეხზე დადგება საქართველოს მთელი მოსახლეობა და კატეგორიულად, მთელი პრინციპულობით მოითხოვს თქვენს დარჩენას პრემიერ-მინისტრად, სწორედ იქ, სადაც დღეს იმყოფებით და ყველაზე მეტი სარგებლობა მოგაქვთ დედასამშობლოსთვის. გჯეროდეთ, რომ არა გაქვთ უფლება ხალხის ნებას არ დაემორჩილოთ!**



**გრამიტონ კვარაცხელია,**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, კულტურის დამსახურებული მუშაკი

ალიან-ჩალიანი

### ორმოც დღეში თუ კეზერაშვილს არ გადმოგვცემენ...

**თუ დავით კეზერაშვილის საექსტრადიციო პროცედურები 40 დღეში არ დასრულდება, მაშინ პატიმრობის გაგრძელებას მოვითხოვთ, — ამის შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა გუშინ განაცხადა.**

**მისივე თქმით, თავდაცვის ყოფილი მინისტრი წითელი ცირკულარით ძებნილი არ ყოფილა.**

**კეზერაშვილთან მიმართებაში არის ორი საქმე, ერთი ეხება ფულის გათეთრებას, ხოლო მეორე ბიზნესის მფარველობის კუთხით კორუფციას.**

**— მეც მივმართე გუშინ მადლობის წერილით საფრანგეთის იუსტიციის მინისტრს, რომ ამგვარი კარგი თანამშრომლობის მაგალითი აჩვენა ჩვენმა ორმა ქვეყანამ. ამ სისხლის სამართლის საქმეზე, რა თქმა უნდა, ვიჩქარებთ, რომ ამ 40 დღეში საექსტრადიციო პროცედურები დასრულდეს. თუ არადა, მოთხოვნილი იქნება პატიმრობის გაგრძელება, როგორც ეს ხდება ნებისმიერი სხვა კლასიკური ექსტრადირების შემთხვევაში, — განაცხადა თეა წულუკიანმა.**

**საქართველოს მთავარი პროკურატურა კეზერაშვილის ექსტრადირებისთვის დოკუმენტაციას უკვე ამზადებს.**

### სტუდენტები სამართლებრივ ბრძოლას იწყებენ

**ორი კვირის წინ დაფუძნდა ორგანიზაცია „სტუდენტთა გაერთიანება სამართლიანი საქართველოსთვის“ . მისი თავმჯდომარეა ირაკლი ჩხიკვიშვილი. წევრებს შორის არიან საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას ვაჟი ბუსა ჟვანია, ასევე ბექა ხოფერია, ლიკა ლობჟანიძე და სხვები.**

**როგორც ორგანიზაციის თავმჯდომარემ ირაკლი ჩხიკვიშვილმა დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე განმარტა, ორგანიზაციის დაფუძნების მიზანი, ნებისმიერ სამოქალაქო, სოციალურ ღონისძიებაში ახალგაზრდების მაქსიმალური ჩართვაა. მისივე თქმით, სტუდენტები და ახალგაზრდები ქვეყანაში ძალიან დიდ ძალას წარმოადგენენ.**

**ამასთან, ორგანიზაციის ერთ-ერთი წევრის ბუსა ჟვანიას თქმით, ეს არის იმედის მომცემი პროექტი, რადგან ამაში ჩართული არიან სტუდენტები, „რომელიც არის ძირითადი ძალა“. მისივე თქმით, საქართველოს რთული ისტორიიდან გამომდინარე, არ ყოფილა მომენტი, რომ სამართლიანობისთვის ბრძოლა არ ყოფილიყო საჭირო.**

**— „დღესდღეობითაც, რა თქმა უნდა, ძალიან აქტუალურია სამართლიანობა. ჩვენთვის სამართლიანობა არ მოიცავს მხოლოდ პოლიტიკას, ჩვენთვის სამართლიანობა ნიშნავს, რომ თითოეულ ოჯახს, თითოეულ ბავშვს ჰქონდეს ერთნაირი საშუალება მიიღოს განათლება, ჰქონდეს ელემენტარულად საჭმელი, — განაცხადა ბუსა ჟვანიამ.**

**ამასთან, ორგანიზაციის ერთ-ერთი წევრის ბექა ხოფერიას ინფორმაციით, დღეს, 50 -მდე სტუდენტი ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის სისხლის ჩაბარებას გეგმავს. ასევე, ორგანიზაციის გეგმებში შედის ანტინარკოტიკული აქციების ჩატარება და სხვადასხვა ტიპის აქტივობა.**

ინტერპრესი

# ქიმიური იარაღის განადგურება და დიდი ჯილდო

**ბოლო ერთი კვირაა, შიმშილისგან თავის დახსნის მიზნით ევროპისკენ მიმავალ აფრიკელთა შემზარავმა ამბავმა არა მარტო ევროპის, არამედ მსოფლიოს ყურადღებაც მიიპყრო. ჩრდილო აფრიკაში მცხოვრებმა მოსახლეობამ, შიმშილით სიკვდილს სარისკო მარშრუტი ამჯობინა – ნავებით ევროკავშირის წევრი იტალიის კუნძულ ლამპეიდუზამდე. ტალღებზე მოფარფატე ნავებმა ვერ გაუძლეს ზღვის შემოტევას და ასობით აფრიკელი დაიღუპა.**

არალეგალურ მიგრანტთა ტალღამ წალეკა ევროკავშირის წევრი ქვეყნები, არანაკლებად, ჩვენი მეზობელი რუსეთი. ამ ქვეყანამ, მიგრანტთა რაოდენობით ევროკავშირსაც გადააჭარბა და სხვასაც, დაიკავა რა მეორე ადგილი მსოფლიოში აშშ-ს შემდეგ. მიგრაციის პრობლემები აწუხებს ყველას, მათ შორის რუსეთსაც, ვინაიდან არალეგალთა გამოვლინება, მათი სამშობლოში დეპორტაცია, მხოლოდ სიტყვით არის იოლი გასაკეთებელი, საქმით – ძნელი, ხშირად შეუძლებელიც.

მშიერთა ლტოლვა უკეთესი ცხოვრებისკენ არახალია, მაგრამ მაძღარი ქვეყნების მიდგომაც ამ საკითხებისადმი ზერელე და შეუსაბამოა. სხვა ქვეყანაში საკუთარი ბედის ძებნა კოლონიალიზმისაგან განთავისუფლებას მოჰყვა, ამასთანავე ევროპის და სხვა ქვეყნების სამრეწველო ბუმის მოთხოვნებს - იაფფასიანი მუშახელის მოსაპოვებლად.

თითქოს ევროპაში დროებით ჩასული ადამიანები, შრომით ფულის შოვნის მერე, სამშობლოს უნდა დაბრუნებოდნენ, მაგრამ ამაო გამოდგა მათი და გაბეზრებული მასპინძლების იმედი, რამეთუ ადამიანის სურვილი, უფრო მეტი ფული მოიხვეჭოს, უძიროა. ის კაზინოში თამაშს წააგავს – ცოტაოდენი მოგების შემდეგ უფრო მეტი მოგებისათვის რომ აგრძელებ თამაშს.

გასული საუკუნის სამოციანი წლებიდან დაწყებული, ნაქებმა და გამოკვებილმა დასავლეთმა (ცხადია, სხვასთან, განსაკუთრებით აფრიკასთან შედარებით) ვერაფერი მოიგონა მიგრანტთა ნაკადის შესაჩერებლად. ვითომ შეიქმნა სხვადასხვა სახის პროგრამები მესამე ქვეყნებში დასაქმებასთან დაკავშირებით, იქ სხვადასხვა სახის საწარმოების გახსნით და ა.შ., თუმცა, როგორც ჩანს, არცთუ საკმარისი რაოდენობით. შიმშილის წინაშე დამდგარი მოსახლეობა რისკავს სიცოცხლეს და ენით აუწერელი წამებით აღწევს მიზანს. მაგრამ ყველა ვერა.

ლუკმაპურის ძიებაში ბოლო წლების განმავლობაში 5000 აფრიკელი დაიხრჩო ხმელთაშუა ზღვაში. კიდევ კარგი, რომ ბედის და ლუკმაპურის მაძებარ ქართველობას ზღვის გადაცურვა არ სჭირდება რუსეთში, თურქეთში, საბერძნეთში, სხვა ქვეყნებში შესაღწევად. გაურიგდები მეგზურს, გადაუხდი ფულს და თუ პირველივე მცდელობით ვერ მიაღწევ „სანატრელ“ ქვეყანას, მომდევნო მცდელობებისას, უდავოდ მიაღწევ.

და დაიწყება სრულიად ახალი ცხოვრება, იქაური ენის, წეს-ჩვეულებების, კანონების ცოდნის გარეშე. გაივლის წლები და შეიძლება „გრინ კარდსაც“ (მწვანე ბარათს) გამოჰკრა ხელი, იმ დროისთვის უკვე მთლად „უცხოელი“ თუ არა, მიახლოებითი მაინც იქნები - შენი ქვეყნიდან დაშორებული, ახალი „სამშობლოსთვის“ არცთუ მისაღები.

მრავალი ასეთი ქართველი ცხოვრობს საზღვარგარეთ, მათ მიერ მამასისხლად ნაშოვნი ფულით კი – აქ დარჩენილი ნათესავ-ახლობლები. იშვიათად, შვებულებით ჩამოსული – სამშობლოს სხვა თვალით უყურებს – იქაურით, თანაც კრიტიკულით და უმალ იბადება კითხვა – აქ რომ დარჩენილიყო, გადარჩებოდა?

მას აკვირვებს ის, რომ აქაური ცხოვრება უცვლელია, დაკონსერვებულია, უმომავლოა და შვებულების დამთავრებამდე გაცილებით ადრე ეცლება აქაურობას, გაბეზრებული ნათესავების თხოვნით, ფულის ჩუქებასთან დაკავშირებით. მეორე „სამშობლოში“ დაბრუნებული ძალას არ იშურებს აქ დარჩენილი ოჯახის სამშვიდობოზე გასაყვანად – ხშირად მცდელობა წარმატებით მთავრდება.

**ასე და ამრიგად იცლება საქართველოს სოფლები და ქალაქები, ჩვენ სხვაგან მივდივართ, ჩვენს ადგილს აფრიკელები და აზიელები იკავებენ. გაივლის წლები და ისინიც მიიღებენ საქართველოს მოქალაქეობას, ისე, როგორც ჩვენ, იქ.**

**გლობალიზაციის ნაყოფია ყოველივე ეს და არა მარტო მისი – არანაკლებად ხელისუფლების, რომელმაც დასაქმების ვერავითარი პირობა ვერ შექმნა. 20 წელიწადზე მეტია, საქართველოს ხელისუფლება არაფერს ღონობს ქვეყნის უაღრესად პატარა მოსახლეობის დასასაქმებლად. მას ამისთვის არ სცალია – დიდ მატერიებზე ფიქრობს – ევროკავშირში ინტეგრაციაზე, ნატოში შესვლაზე, აშშ-თან სტრატეგიულ პარტნიორობაზე და ა.შ., ყველაფერზე, მაგრამ არა ხალხის დასაქმებაზე. ჰოდა, ხალხიც დასაქმდა „შინმოუსვლელ“ საზღვარგარეთ. აწუხებს ეს ხელისუფლებას?**

არამც და არამც! რეზერვი ჰყავს, საუკუნეობით გათურქებული ე.წ. თურქი ქართველები. რა სჯობს ასეთ რეზერვს?! პრეზიდენტის ერთი ხელმოწერით, საქართველომ 1000 ახალი მოქალაქე შეიძინა, თანაც როგორი! ისინი იქ იცხოვრებენ, მაგრამ აქაც იქნებიან, ამ ქვეყნის მოსაწველად. განა ასეთი „პროექტი“ მიუღებელია? რაში გვჭირდება ქარხანა-ფაბრიკები? მათ ხომ იმ ქვეყანაში ერთიც აქვთ და მეორეც! აღარც გარემო დაგვიბინძურდება და აღარც ქარხნების აშენებისთვის საჭირო თანხები დაგვეხარჯება. ბარაქალა საააკაშვილს შორსმომავალი პროექტისთვის.

ახლა რაც შეეხება, ჩვენს მომავალ ძმებს – ევროპელებსა და ამერიკელებს. ჩვენ, მათთვის ახალი ხილი ვართ, მაგრამ მიდგომა ჩვენდამი ისეთივე აქვთ, როგორიც აფრიკა-აზიის მესამე ქვეყნებისადმი – მტაცებლური. ტრანსნაციონალურმა კორპორაციებმა ყველაფერი იღონეს აფრიკის სიმდიდრეთა ხელში ჩასაგდებად, თანაც ცენტებად. არავითარი ინფრასტრუქტურა, მხოლოდ ძარცვა წიაღისეულისა, მინიმალური დასაქმება.

ამერიკულ და ევროპულ კომპანიებს დიდი თავსატეხი გაუჩინა ჩინური კაპიტალის გამოჩენამ აფრიკაში. და დაიწყო ჩინელთა მიერ რკინიგზებისა და გზების გაყვანა, წიაღისეული სიმდიდრეების მოპოვება, ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება. ჩინელებმა სერიოზულად ჩააჩოჩეს ამერიკელები და ევროპელები, რაც მთავარია, მოიპოვეს ადგილობრივი მოსახლეობის ნდობა. შეხედა რა ჩინელთა პროგრესს აშშ-ს პრეზიდენტმა ობამამ, მდგომარეობის გამოსასწორებლად აფრიკის რამდენიმე ქვეყანას მიაშურა, თუმცა მე ვიტყოდი, დაგვიანებით.

აშშ-ს ელჩის გასაგონად, საქართველოშიც არ დაგაგვიანდეთ! მარტო ქვეყნის მომწამლავი ბიოლოგიური ლაბორატორიების აშენებით შორს ვერ წახვალთ. სერიოზული ინვესტიციაა საჭირო და არა ახალგაზრდების მოსაქრთამი გრანტები და არასამთავრობო ორგანიზაციები, ანუ მუქთა მჭამელები – უპროდუქციო „წარმოება“ არასამთავრობოთა სახით, განწირულია ქვეყანა, რომელიც ტუალეტის ქაღალდსაც ვერ აკეთებს, გამუდმებით ლაქლაქებს.

**მოლაქლაქე ერადაა ქცეული ეს ქვეყანა. აურაცხელი ტელეკომპანიები, ინტერნეტ-ტელევიზიები, აურაცხელი თოქ-შოუები და – არც ერთი ქარხანა!**

აურაცხელი სახელმწიფო მოხელე, მათი დამცველი კუნთმაგარი და ჭკუასუსტი მამაკაცები, მათი გადაადგილებისთვის საჭირო 80-ათასიანი შავი „ტოიოტას“ ჯიპები, ქვეყანა, არამწარმოებლური „შრომით“ დაკავებული, გრანტების ჭამასა და მონელებაში გართული.

ჭამა და მონელება ისეა გადაბმული ერთმანეთზე, შრომის ადგილი აღარ რჩება. შეხედავ თანამედროვე ქართველს, წელში სრულს, მოსწრებული მუცლით და უმალ გაიხსენებ ალექსანდრე დიუმას, დიდის ეჭვით, ვინაიდან მის მიერ აღწერილი ქართველი დღეს მხოლოდ „ვეფხისტყაოსნის“ თოიძისეულ ნახატებზეა. გონიერებასა და სიდარბაისლეზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. **„ქართველი მამაკაცები, ჩემი აზრით, არა მარტო თვითონ არიან ულამაზესი მთელ დედამიწის ზურგზე, არამედ მათ აგრეთვე საუკეთესო ტანისამოსი აცვიათ“,** – წერდა დიდი მწერალი. სავალალოა, რომ ერთი საუკუნის წინათ გაკეთებულმა შეფასებამ ესოდენ დიდი, თანაც ნეგატიური ტრანფორმაცია განიცადა.

**ერთი მუჭა ბანდიტი „ბიზნესმენი“ ძიძგნის ამ ქვეყანას, ისე, როგორც გუშინდელი და დღევანდელი ხელისუფლება და რა გასაკვირია, რომ დანარჩენმა თავი უცხოეთს შეაფაროს? კიდევ კარგი, ზღვა არ გვაქვს გადასაცური, თორემ ბედშავი ქართველებიც, ბედშავი აფრიკელების ბედს გაიზიარებდნენ.**

საზარელი იყო კუნძულ ლამპეიდუზაზე აფრიკელთა კუბოების ხილვა – ერთ რიგზე ჩაწყობილი 300 კუბოსი. და ამ ფონზე აფრიკის გაუბედურების მთავარი შემოქმედის – ევროკავშირის მაღალჩინოსანთა ვითომ დამწუხრებული სახეები.

არ აწუხებთ მათ ეს ამბვი. მათ აწუხებთ ევროპაში შესული აფრიკელი – მათი მშვიდი და უზრუნველყოფილი ცხოვრების დამრღვევი. რომ აწუხებდეთ, ნობელის პრემიას იმას მიანიჭებდნენ, ვისაც სურვილი გაუჩნდებოდა მესამე ქვეყნებში ინფრასტრუქტურის შექმნისთვის, მოსახლეობის ადგილზე დასაქმებისთვის.

**მაძღარი ქვეყნები ებრძვიან არალეგალურ მიგრაციას, ე.ი. შედეგს, მაგრამ ხელს არ ანძრევენ მიზეზის აღმოსაფხვრელად. მარტო საქართველოს მაგალითი რად ღირს?!**

გასულ კვირას, მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის კომიტეტმა შესანიშნავ გამოსავალს მიაგნო, არც პუტინი გაანაწყენა და არც სხვა, ვინც პრემიაზე იყო წარდგენილი – მიანიჭა რა ნობელის პრემია ქიმიური იარაღის წინააღმდეგ მებრძოლ ორგანიზაციას. არადა, თუ მშვიდობის შენარჩუნებაზეა ლაპარაკი, სწორედ პუტინის ძალისხმევამ იხსნა მსოფლიო ომისგან. მართალია, „ნაციონალურად“ განწყობილ ქართველობას სძულს პუტინი, მაგრამ ფაქტი ჯიუტია.

რომ არა საერთაშორისო არენაზე პუტინის დაბეჯითებული, შეუპოვარი მოქმედება, განსაკუთრებით ამერიკელებთან, ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის თავიდან აცილება შეუძლებელი იქნებოდა. მან ააღებინა პრეზიდენტ ობამას ომის ღილაკზე დადებული ხელი. მან დაიყოლია სირიის პრეზიდენტი ბაშარ ასადი, შეერთებოდა ქიმიური იარაღის განადგურების კონვენციას. მისი ძალისხმევით დაიწყეს გაეროს სპეციალისტებმა სირიის ქიმიური იარაღის განადგურების პროცესი.

მაგრამ რა გაეწყობა, დასავლეთისთვის მიუღებელია პუტინი – საკუთარი ქვეყნის სიძლიერის შექმნის მსურველი. დასავლეთისთვის მისაღებია ლიტერატურის დარგში რუსი მწერლების ნობელის პრემიის ლაურეატობა, მაგრამ მშვიდობის დარგში – არა! პუტინს რომ რუსეთი დაეშალა, ისე, როგორც გორბაჩოვმა დაშალა საბჭოეთი, უდავოდ ნობელის პრემიის ლაურეატი გახდებოდა, ისე, როგორც გორბაჩოვი.

დასავლეთისთვის მისაღებია პრეზიდენტობის დამწყები ობამასთვის ავანსად ნობელის პრემიის მინიჭება, მაგრამ რომელიმე საბჭოთა ან რუსი პოლიტიკოსისთვის – არა!

ფაშიზმისგან მსოფლიოს გადარჩენის უპირველესი შემოქმედი სტალინი არ აღირსეს პრემიას - ლანძღვა-გინებას, იცოცხლეთ! რა გაეწყობა, ასეთია ტენდენციური დასავლეთი – პოლიტიზებული, მიკერძოებული, ორმაგი სტანდარტის მატარებელი. კომიტეტმა ბრძანა – სირიის ქიმიური იარაღი არაფერ შუაშია, ისე გავიხსენეთ ამ იარაღის განადგურების წინააღმდეგ მებრძოლი ორგანიზაციაო. რაღა მაინცადამაინც წელს და არა შარშან?

დავუბრუნდეთ სირიას. ჟენევის კონვენციის მეორე დამატებითი ოქმის მიხედვით, შიდა სამხედრო კონფლიქტის შემთხვევაში, კანონიერ ხელისუფლებას უფლება აქვს, ყველა კანონიერი შესაძლებლობით, ხელი შეუწყოს და აღადგინოს წესრიგი, დაიცვას ეროვნული და ტერიტორიული მთლიანობა. ასეთ დროს პროცესში პირდაპირი ან ირიბი ჩარევა გარედან დაუშვებელია. იმ შემთხვევაშიც კი, თუ სირიის ხელისუფლება გამოიყენებდა ქიმიურ იარაღს, იქნებოდა თუ არა ის პასუხისმგებელი საერთაშორისო სამართლის მიხედვით?

1925 წლის ჟენევის ოქმი, რომლის ერთ-ერთი მხარეც სირიაა, კრძალავს მომწამლველი ნივთიერებების გამოყენებას საერთაშორისო კონფლიქტებში, მაგრამ ქიმიური იარაღის საყოველთაო გამოყენების აკრძალვის კონვენციას, რომელიც 1993 წელს არის მიღებული, სირია არ შეერთებია. რაც შეეხება ისრაელს, რომელმაც ხელი მოაწერა კონვენციას, 20 წელზე მეტია რატიფიკაცია არ მოუხდენია.

რომის საერთაშორისო სისხლის სამართლის სტატუტის მიხედვით, კრიმინალურად ჩაითვლება ქმედება, როდესაც მხუთავი გაზები და მომწამვლელი ნივთიერებები გამოიყენება საერთაშორისო სამხედრო კონფლიქტის დროს. მხოლოდ 2010 წელს შევიდა სტატუტში შესწორება, რომელიც კრიმინალურად მიიჩნევს ქვეყნის შიგნით კონფლიქტში ქიმიური იარაღის გამოყენებას. შესწორებას მხოლოდ 10 სახელმწიფომ მოაწერა ხელი, მათ შორის სირიამაც, თუმცა, რატიფიკაცია არ მოახდინა.

სირიის ქიმიური იარაღის გაჩენას საზოგადოება ისრაელის ბირთვული იარაღის შექმნას უნდა „უმადლოდეს“. არ ექნებოდა ისრაელს ბირთვული ბომბი და არ შექმნიდა სირია ქიმიურ იარაღს.

აშშ-ს პრეზიდენტის განცხადებით, თუ სირია დაარღვევს შეთანხმებას ქიმიური იარაღის განადგურებასთან დაკავშირებით, ამერიკის და მისი მოკავშირეების მხრიდან არ ასცდება საჰაერო დაბომბვები. მუქარა სერიოზულია. აშშ-ი შეასრულებს მუქარას.

თვით აშშ-მა ვიეტნამის ომის დროს ასეულ-ათასობით ტონა მომწამვლელი ნივთიერება დააყარა ვიეტნამს. ვიეტნამის ნიადაგი ღრმად არის გაჟღენთილი მომწამვლელი ქიმიური იარაღისგან. როგორც ჩანს, მრავალი წელი დასჭირდება მოწამლული ნიადაგის რეაბილიტაციას. კომპენსაცია, რომელსაც აშშ უხდის ვიეტნამს ნიადაგის აღსადგენად, მიზერულია.

დასაჯა ვინმემ აშშ ამ ბარბაროსული ქმედებისთვის? დასაჯა ვინმემ აშშ ვიეტნამელი ხალხის გენოციდისთვის? ვიეტნამის ომმა ხუთი მილიონი ადამიანი იმსხვერპლა. – ამერიკელთა მიზანი არამხოლოდ ვიეტნამელი მებრძოლების, არამედ ყოველივე სულიერის განადგურება იყო.

აშშ-ის მხარდაჭერით, ქიმიური იარაღი უხვად გამოიყენა ერაყმა ირანის წინააღმდეგ ომში (1980-1988 წლები). დღეს, აშშ ჭკუას ასწავლის მსოფლიოს და თითს უქნევს სირიას ქიმიურ იარაღთან დაკავშირებით.

**ნობელის პრემიის ლაურეატი ორგანიზაცია უკვე მუშაობს სირიის ქიმიურ ობიექტზე. სპეციალისტების აზრით, ქიმიური იარაღისგან განიარაღების პროცესი კარგა ხანს გასტანს და თითქმის ერთი მილიარდი დოლარი დაჯდება. მსოფლიოს ერთ-ერთ ქვეყანას გამოაკლდება ქიმიური იარაღი, რაც რუსეთის პრეზიდენტის დიდი მიღწევა და დამსახურებაა, რომელმაც დაიყოლია ბაშარ ასადი ქიმიური იარაღის გასანადგურებელი ნაბიჯის გადასადგმელად.**






**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**

# კოჰაბიტაცია თუ სამართლიანობის აღდგენა?

**„სტრატეგიულმა პარტნიორმა“ სიტყვა შეასრულა: მაპი არა, მაგრამ მაპზე უკეთესი მოგვცა – „კოჰაბიტაცია“! ჟურნალისტები ამ ნეოლოგიზმს ფრანგულ სიტყვასთან ასოცირებენ და ვერ შეთანხმებულან, ჰაეთი დაწერონ იგი თუ უჰაეოდ (ქართველებს კონსენსუსი ენაშიც უჭირთ), და ზოგი, „ჰაბიტუსის“ დარად, „კოჰაბიტაციას“ წერს, ზოგი – „კოაბიტაციას“, აქაოდა, ასე გამოთქვამენ ფრანგებიო. გამოთქმას რომ მივყვეთ, მაშინ სულაც „ქოუჰებითეიშენი“ უნდა დაგვეწერა (როგორც მეტიჩარა ამერიკანუმები „პრომოუშენს“ წერენ), რადგან ასე გამოთქვამს მას ჩვენი „სტრატეგიული პარტნიორი“. მაგრამ სანამ ამ გამოთქმით ენას მოვიტეხდეთ, ჯერ ის ვიკითხოთ, რატომ ამახინჯებს იგი პატიოსან ფრანგულ სიტყვას და რატომ გვაჩეჩებს ჩვენ ამ სიმახინჯეს?**

**კოჰაბიტაცია, ფრანგული გაგებით, პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის ისეთ თანამშრომლობას ნიშნავს, როცა ერთი მემარჯვენეა, მეორე – მემარცხენე. მემარჯვენე და მემარცხენე, როგორც ძაღლი და კატა, ერთად ვერ რიგდებიან, მაგრამ ზოგჯერ ხალხი აიძულებს მათ, მორიგდნენ და ითანამშრომლონ ერთმანეთთან. ფრანგმა ხალხმა სამჯერ აიძულა ისინი, ერთად ემსახურათ მისთვის: 1986-1988 წლებში, როცა მემარცხენე პრეზიდენტი ფრანსუა მიტერანი აიძულა, ეთანამშრომლა მემარჯვენე პრემიერ-მინისტრ ჟაკ შირაკთან, 1993-95 წლებში კი – მემარჯვენე პრემიერ-მინისტრ ედუარდ ბალადურთან; და 1997-2002 წლებში, როცა მემარჯვენე პრეზიდენტი ჟაკ შირაკი აიძულა, ეთანამშრომლა მემარცხენე პრემიერ-მინისტრ ლიონელ ჟოსპენთან. რაც შეეხება იდეოლოგიურად მსგავსთა თანამშრომლობას, იგი ბუნებრივად ხდება და კოჰაბიტაციის საკითხი უბრალოდ არ დაისმის. კოჰაბიტაცია იძულებით თანამშრომლობას ნიშნავს, იძულების ფაქტორი კი ხალხია, რომელიც პრეზიდენტის იდეოლოგიის გასაზავებლად განსხვავებული იდეოლოგიის პრემიერ-მინისტრს ირჩევს.**

ჩვენთან კი რა ხდება? პრემიერ-მინისტრიც ისეთივე მემარჯვენე და ნატოძახიაა, როგორიც „პრეზიდენტი“, და რა იძულებაზე ან გაზავებაზე შეიძლება იყოს აქ საუბარი?! ყველაზე კურიოზული კი ის არის, რომ კოჰაბიტაციის ავანჩავანი „სტრატეგიული პარტნიორია“ და არა ხალხი! რამ აუშალა ამ ოკეანისგაღმელს ჩვენი კოჰაბიტაციის სალერღელი, რა მოგახსენოთ, მაგრამ ხალხს რომ არ მოსწონს ეს ეშმაკური ფარსი, ამას მისი მთავარი შემსრულებელიც აღიარებს. ხალხი წინააღმდეგია პრეზიდენტად წოდებულთან კოჰაბიტაციისა, რადგან ეს უკანასკნელი, გარდა იმისა, რომ ვადაგასულია, მხილებულია აგრეთვე ადამიანების წამება-გაუპატიურებაში, მკვლელობაში, ქონების წართმევაში, პატიმრებისათვის ორგანოების ამოჭრაში (მთავარმა პროკურორმა ესეც საჯაროდ განაცხადა, მაგრამ მიაჩუმათეს), მილიონობით საბიუჯეტო თანხების გაფლანგვა-მიტაცებაში, და მოითხოვს, რომ პრემიერ-მინისტრმა პასუხი აგებინოს მას ამისათვის და სამართლიანობა აღადგინოს ქვეყანაში. ხალხმა სწორედ ამისათვის მისცა მას ხმა არჩევნებში და ეს იყო მისი ერთ-ერთი მთავარი დაპირებაც, რუსეთთან ურთიერთობის „დალაგებასთან“ ერთად, რასაც ის არ ასრულებს და, პასუხის გებინების ნაცვლად, კოჰაბიტაციაში შედის მასთან!

ბიძინა ივანიშვილი არ მალავს, რომ კოჰაბიტაციის მოსურნე ევროპა-ამერიკაა, საზოგადოებას კი გაგონება არ უნდა მისი, მაგრამ პრემიერ-მინისტრი ამას საზოგადოების „წინწაუწევლობით“ ხსნის: **„შეუძლებელი შევძელით, ბეწვის ხიდზე ვიარეთ, რომ ჩვენი ქმედებები ევროპა-ამერიკისთვის გასაგები ყოფილიყო და შიგნით საზოგადოების მუხტი არ დაგვეკარგა. საზოგადოებას 5 წუთში უნდოდა ყველანი დაგვესაჯა იგივე მეთოდებით (უნდა იყოს იმავე მეთოდებით – ო.ხ). ამით მივიღებდით ახალ უბედურებას. ძალიან რთული პროცესი გავიარეთ. რაც ევროპა-ამერიკას სურდა, საზოგადოებას იმის აბსოლუტურად საპირისპირო სურდა. მოვახერხეთ, რომ ორივეს მხარდაჭერა შევინარჩუნეთ. ახლა ეს პროცესი დასრულდა და ამიტომაც ჩემი წასვლა აღარ იქნება საზიანო. აქამდე ძალიან საჭირო ვიყავი და დავიტრაბახებ, რომ ძალიან ფაქიზად და კარგადაც ვიმუშავე. გამოგვივიდა და თან არ გავაკეთეთ იგივე, რაც წინა ხელისუფლებამ – უწესრიგობით წესრიგის დამყარება არ შეიძლება... ის, რაც შეიძლებოდა პოლიტიკაში ჩემი მხრიდან, მე გავაკეთე, უფრო მეტი სჭირდება საზოგადოებას. ვფიქრობ, პოლიტიკური ნაწილი დღეს წინ წაწეულია, უკეთესია ვიდრე საზოგადოება... ჩემს გუნდს ექნება საშუალება, უჩემოდ მეტი პასუხისმგებლობა აიღოს. სხვათა შორის, არა მარტო საზოგადოება, გუნდშიც შფოთავენ, შიგნითაც ძალიან ბევრი განიცდის, ძალიან ბევრს ეს არ მოსწონს, ვაგრძელებთ პოლემიკას, ჯერ უსუფაშვილთანაც ვერ ჩავედით ბოლომდე, მაგრამ ჯერ ვერც ერთმა ვერ დამისახელა, მათ შორის, ვერც უსუფაშვილმა ერთი რეალური მინუსიც კი, რომელიც ჩემი წასვლით შეიძლება მივიღოთ. სულ პლუსებია, თანაც მე არსად მივდივარ, მე გადავდივარ უფრო რთულ ნაწილში... შიგნით იყო უამრავი პრობლემა და ამიტომ შევიკავე თავი აშშ-ში ვიზიტზე. მინდოდა, ჩვენს უდიდეს პარტნიორთან წელში გამართული ჩავსულიყავი. ძალიან რთული იყო კოჰაბიტაციის პროცესი, დღეს სიტუაცია გადატეხილია, ამერიკელებმა იციან ჩვენი ხელწერა“.**

საზოგადოებას არც 5 წუთში უნდოდა და არც იმავე მეთოდებით, როგორც წინა ხელისუფლება სჯიდა, არამედ – „გონივრულ ვადაში“ და სამართლებრივი მეთოდებით, როგორც ევროპა-ამერიკა სჯის თავის დამნაშავეებს. უწესრიგობა ის არის, როცა დასასჯელს არ სჯი. ყველაზე დიდი უწესრიგობა კი ის არის, როდესაც ევროპა-ამერიკის სურვილს საზოგადოების სურვილზე მაღლა აყენებ.

სიმართლეს არ შეესაბამება ისიც, თითქოს მან ევროპა-ამერიკის მხარდაჭერის შენარჩუნებასთან ერთად, საზოგადოების მხარდაჭერის შენარჩუნებაც შეძლო. თუ რამე შეძლო, მხოლოდ ის, რომ ევროპა-ამერიკის მხარდაჭერა შეინარჩუნა (თუმცა, მაინც უკმაყოფილოები არიან და სააკაშვილისა და მისი ბანდის დასაცავად იკლავენ თავს), საზოგადოების მხარდაჭერა კი ქარს გაატანა. ორივეს მხარდაჭერის შენარჩუნება შეუძლებელიც იყო, რადგან, მისივე თქმით, „რაც ევროპა-ამერიკას სურდა, საზოგადოებას იმის აბსოლუტურად საპირისპირო სურდა“. მაგრამ, თურმე, საზოგადოება წინ წაწეული ვერ არის: „პოლიტიკური ნაწილი დღეს წინ წაწეულია, უკეთესია ვიდრე საზოგადოება“. წინწაწევას წინწამწევი სჭირდება, ამიტომ განზრახული აქვს, გადავიდეს საზოგადოებრივ სექტორში, რომ „წინ წაწიოს“ იგი: აბსოლუტურად იგივე მოასურვოს, რაც ევროპა-ამერიკას სურს.

**ევროპა-ამერიკის სურვილი რომ მთავარია, ეს „გასაგებია“. მაგრამ გაუგებარია, რატომ ვფლანგავთ ამდენ დროსა და სახსრებს ტყუილ არჩევნებში?! უფრო უპრიანი არ იქნებოდა, რომ პრეზიდენტიც პირდაპირ ევროპა-ამერიკას დაენიშნა ჩვენთვის და პარლამენტიც?! დაგვინიშნავდა, მაგრამ ასე არც რესპექტაბელური იქნებოდა (კოლონიალიზმი ხომ აღარ არის?!) და დანიშნულის ნამამაძაღლარზე (აბა, სხვის პრეზიდენტს საკაცოდ ხომ არ დანიშნავდა?!) პასუხისმგებლობაც მასვე მოეკითხებოდა, „არჩეულის“ ნამამაძაღლარზე კი „ამომრჩეველს“ ეკითხება. ამიტომ ევროპა-ამერიკას სურს, ჩვენ აგვარჩევინოს და თავისი მამაძაღლობა აკეთებინოს. სხვა სიტყვებით, „სხვისი ხელით ნარი გლიჯოს“, ანუ, როგორც პოლიტოლოგი ჰამლეტ ჭიპაშვილი ამბობს, „სხვისი ხელით რუსეთს სადგისი უჩხვლიტოს“. ნარის გლეჯამ ხელების დაკაწვრა იცის, სადგისით ჩხვლეტამ – „კვერცხებით ჩამოკიდება“. ივანიშვილი იმიტომ მიდის პოლიტიკიდან, რომ არც ხელები დაიკაწროს და არც კვერცხებით ჩამოსაკიდად გაიხადოს საქმე. უსუფაშვილს კი იმიტომ არ სურს მისი გაშვება, რომ საკუთარი ხელების დაკაწვრასა და კვერცხებით ჩამოკიდებას ივანიშვილის ხელების დაკაწვრა და კვერცხებით ჩამოკიდება ურჩევნია.**

საზოგადოების „წინ წაწევის“ კონტექსტში უნდა განვიხილოთ ექსპერტებისა და ჟურნალისტების „მიჯირყვნაც“. საქმე ის არის, რომ წინწამწევს შუამავლებიც სჭირდება, რომ მისი აზრები საზოგადოებამდე მიიტანონ, ბატონი ბიძინა თვითონ ხომ არ ივლის „ოჯახ-ოჯახ“?! ექსპერტები და ჟურნალისტები კი, ვინც ეს „ფოსტალიონობა“ უნდა გაწიონ, თვითონ გახდნენ „წინწასაწევნი“: ფოსტალიონობა აღარ ისურვეს და იქით მოინდომეს აზრების მიცემა, როგორ აღადგინოს დაპირებული სამართლიანობა (კახა კახიშვილი), დაუბრუნოს პატრონებს წართმეული ქონება (მამუკა არეშიძე) და ა.შ. განსაკუთრებით გააოცა იგი ყოფილი მრჩევლების ქმედებამ, რომლებიც, იმის ნაცვლად, რომ თვინიერად მოესმინათ პრემიერ-მინისტრის რჩევები, იქით ურჩევდნენ საქმეს! ეს ადამიანები ჯერ ისევ პრემიერ-მინისტრს არ ეპუებიან და საზოგადოებრივი სექტორის გამგეს შეეპუებიან?! ამიტომ დატუქსა ისინი ბატონმა ბიძინამ, თქვენი აზრი ვის სჭირდება, თქვენი მოვალეობაა ჩემი აზრების ფოსტალიონები იყვეთ, რომ ისინი საზოგადოებამდე მიიტანოთ, რომ წინწამაწევინოთ იგიო!




ფოსტალიონობის გაპროტესტება არავის აცალა ქალბატონმა ინგა გრიგოლიამ, რომელსაც ეს შენიშვნა არ ეხებოდა, რადგან იგი იმ წინწაწეულთა შორის მოიაზრებოდა, რომლებსაც ბატონი ბიძინა არ ეხებოდა: პუბლიცისტ ნანა დევდარიანის დაკვირვებით, „მან „გადაუარა“ იმ ექსპერტებს, რომლებიც უპირისპირდებოდნენ სააკაშვილს და ძალიანაც მოეფერა იმათ, ვინც „ნაციონალებს“ იცავდა და დღესაც იცავს, იმავე სერგი კაპანაძეს, როცა საკმაოდ უხეშად ეპასუხებოდა სულ რაღაც გუშინ მის გვერდით მდგარ ადამიანებს, თუნდაც მამუკა არეშიძეს, ასევე ვაჟა ბერიძეს, ვახტანგ ძაბირაძეს...“ რაც შეეხება მისთვის ფოსტალიონობის წოდებას, მას ამას არა თუ ვერ ვაკადრებ, არამედ ვერც ვანდობ, რადგან დარწმუნებული არა ვარ, რომ იგი, როგორც მისი ყოფილი პარტიის ბოსი, სხვისთვის გადასაცემ წერილს სხვას არ მიუტანს!

დიპლომატიური აკადემიის რექტორ სოსო ცინცაძის აზრით კი, **„შეხვედრის ზოგიერთი მონაწილე დაუკრეფავშიც გადადიოდა და კარგად გამოჩნდა, რომ მათ ივანიშვილს სიტყვა შეაჩვიეს... შეხვედრაზე გაირკვა ისიც, რომ საქართველოში არც იმდენი ექსპერტი ყოფილა, როგორც ბევრს ეგონა. ექსპერტს, სულ მცირე, რამდენიმე წიგნი მაინც უნდა ჰქონდეს დაწერილი და თავის თითოეულ არგუმენტს უნდა ასაბუთებდეს“.**

წიგნები რა შუაშია, ბატონო სოსო, ექსპერტები და ჟურნალისტები საზოგადოების უშუალო განმანათლებლები ხომ არ არიან?! ისინი ბიძინას ფოსტალიონები არიან, რომ მისი აზრები საზოგადოებას თავს მოახვიონ. თუმცა, არც ბიძინას აზრებია მისი საკუთარი: ბიძინა ნორლანდისგან იღებს, ნორლანდი – ეშმაკმა იცის, ვისგან? საამისოდ კი ინტერვიუები უფრო ქმედითია: ექსპერტები ინტერვიუერ ჟურნალისტებს ურესპონდენტებენ, ჟურნალისტები „ექსპერტების“ (ანუ ბიძინას) აზრებს საზოგადოებას მოახვევენ თავს. სწრაფად და იაფად, თანაც ხედავ, როგორ ზუსტად ურესპონდენტებს შენს აზრს ექსპერტი ჟურნალისტს, ჟურნალისტი – საზოგადოებას. წიგნების შემოწმება თავსატეხია. სტალინი იცლიდა ამისათვის, თუმცა, ვერაგი მწერლები მაინც ახერხებდნენ სტრიქონებს შორის თავიანთი აზრების გაპარებას. ბიძინა სტალინივით მოცლილი ხომ არ არის, მთელი ინტერვიუები იკითხოს, ვიღაცის (ჟურნალისტები კოკა ყანდიაშვილს აბრალებენ) ამონაგლეჯებითაც იოლას გადის. პოლიტიკურად ცხონებული მიშა საერთოდ არ კითხულობდა გაზეთებს და რა წააგო, მაკკეინიდან დაწყებული, ნორლანდით დამთავრებული, ლამის არის, ზედ გადაეგონ! რაც შეეხება „არგუმენტის დასაბუთებას“ (არგუმენტი თვითონ დასაბუთებაა!), რა დასაბუთება უნდა იმას, რომ დამნაშავე უნდა დაისაჯოს და წართმეული ქონება პატრონს დაუბრუნდეს?!

ბიძინა ივანიშვილი რიტორიკულ კითხვას სვამს: „რა ვქნათ? ყველა გავასამართლოთ? ქონების დაბრუნება წარმოუდგენელია, სახელმწიფოს არ აქვს ამის საშუალება... პროკურორებიც სისტემის მსხვერპლნი იყვნენ, ადეიშვილი კი ნიჭიერი კაცი იყო, რომელიც მისი მთავრობის პირობებში სახელმწიფოში ყველაზე კარგი ჩინოვნიკი იქნებოდა, თუმცა, იგი ზეწოლას დაექვემდებარა. უფრო მეტიც, მერაბიშვილი მუდმივად აოცებდა ივანიშვილს თავისი ეკონომიკური ანალიზით და, როდესაც ეკითხებოდა, საიდან იცოდა ამდენი, პასუხობდა – ადეიშვილია ჩემი მასწავლებელიო. ამიტომ სულ მაინტერესებდა მისი გაცნობა და ეს ვერ მოვახერხე“.

კიდევ კარგი, პოლიტიკური ნაწილი მაინც „წინ წაწეულია, უკეთესია ვიდრე საზოგადოება“, პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილის (ანუ ბიძინას, ნორლანდისა თუ ეშმაკმა იცის, ვისი) აზრით, **„ნაციონალური მოძრაობის, როგორც ყოფილი მმართველი პოლიტიკური ძალის გადარჩენა თუ პოლიტიკურ სპექტრში დარჩენა, ეს არის ქართული დემოკრატიის ამოცანა“.**

იმავე ეშმაკის აზრისაა თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას დემაგოგია: „მე არ ვთვლი „ნაციონალურ მოძრაობას“ მტრად. მათი დამარცხება და განადგურება არ მიმაჩნია ჩემს მთავარ ამოცანად. რაც შეეხება იმ შედარებას, რომ ბრძოლაში დამარცხებული ბოლომდე უნდა გაანადგურო, ჯერ ერთი, საქართველო პატარა ქვეყანაა და ჩვენ იმის ფუფუნება არ გვაქვს, რომ ერთმანეთს ასე გავუსწორდეთ; მეორე, ვინც არის დამნაშავე, იმან კანონის წინაშე უნდა აგოს პასუხი და არა ის, რომ პიროვნული სასამართლოები მოვაწყოთ. ყველამ კანონის წინაშე უნდა აგოს პასუხი, დაწყებული პრეზიდენტით, დამთავრებული რიგითი მოქალაქით“.

„ადამიანის უფლებათა დაცვის“ კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიას „არგუმენტი“ ყვავს კი არა, ადეიშვილსაც დააჩხავლებს: „თუ ამას გავაკეთებთ, სააკაშვილის გუნდს დავემსგავსებით, რომელიც შევარდნაძის დროინდელ თანამდებობის პირებს ქონებას კანონის უგულებელყოფით აბრუნებინებდა“.

კომენტარი აღარ გინდა, მაგრამ ზოგიერთი წინწაწეული ისეთ რამეს იტყვის, რომ იძულებული ხარ უპასუხო: **ვინ გთხოვათ, ქალბატონო იურისტო, კანონის უგულებელყოფითო?! გეუბნებიან, კანონის დაცვით და სასამართლოს საშუალებითო! თუ შევარდნაძის დროინდელი თანამდებობის პირები კანონის უგულებელყოფით აბრუნებინებდნენ, თქვენ კანონის გულებელყოფით დააბრუნებინეთ!**

საპარლამენტო უმრავლესობის წინწაწეული წევრი, უგზო-უკვლოდ ნაკითხი და ვერგანათლებული ლევან ბერძენიშვილი, სამართლიანობის ჩვარში გასახვევად, შურისძიებაში რომ ურევს მას, „დამკვიდრებისა“ და „დაბრუნების“ სიტყვებით ჟონგლიორობს: „ჩვენი ძირითადი ძეგლები, - „ილიადა“, ევრიპიდეს შემოქმედება, შექსპირის „ჰამლეტი“ და სხვები, გვასწავლიან, რომ შურისძიებას აზრი არ აქვს და შურისძიება არ შეიძლება იყოს პოლიტიკის ნაწილი. უფრო მეტიც. პოლიტიკის ნაწილი უნდა იყოს სამართლიანობა, რაც შურისძიებისგან სრულიად განსხვავდება. ამიტომ, როგორც წესი, შურისძიებით ის ადამიანია დაკავებული, ვისაც სამართლიანობაზე წარმოდგენა არ აქვს... საქართველოში სამართლიანობის სისტემა უნდა დამკვიდრდეს, რომლის დაბრუნებაც შეუძლებელია, რადგან ეს სისტემა არც არასდროს გვქონია. ბიძინა ივანიშვილმა კი ამ ბრძოლაში თავისი ნაბიჯი გადადგა...“

**სინამდვილეში, სამართლიანობა უბრალო რამით განსხვავდება შურისძიებისაგან: თუ შურისძიების დროს ადგილი აქვს სამაგიეროს მიზღვას ლინჩით, სამართლიანობის დროს ეს ხდება სასამართლოს მეშვეობით. ის ფაქტი, რომ ხალხი სამართლიანობის აღდგენას მოითხოვს ხელისუფლებისაგან და თვითონ არ აღადგენს მას, თავისთავად გამორიცხავს ლინჩსა და შურისძიებას. ლინჩი და შურისძიება, როგორც სასამართლოს უგულებელყოფის ფორმები, სამართლიანობის აღდგენაზე უარისთქმის შედეგია. ამიტომ, რომ არ მოხდეს ლინჩი და შურისძიება, უნდა აღდგეს სამართლიანობა. Fiat justitia, et pereat mundus! „აღსრულდეს სამართალი, თუნდ დაიღუპოს ქვეყანა“! მაგრამ ბატონ ბიძინას თუ მის ბატონებს არ სურთ აღდგეს სამართლიანობა, რათა არ დაიღუპონ სააკაშვილი და მისი ნაცმოძრაობა.**

რაც შეეხება სამართლიანობის აღდგენას, ეს იმ მდგომარეობის აღდგენას ნიშნავს, რომელიც წინ უძღვის კონკრეტული დანაშაულის ჩადენას და არა ისტორიული მდგომარეობის აღდგენას. ამ გაგებით, სამართლიანობის აღდგენა ყველა იმ კონკრეტული დამნაშავის დასჯას გულისხმობს, რომლებსაც განაჩენს გამოუტანს სასამართლო. თუ დამნაშავე ბევრია, ყველა უნდა დაისაჯოს, ოღონდ, პირადად ჩადენილი ქმედების მიხედვით და არა ჯგუფურად და განურჩევლად, როგორც ამას აკეთებდნენ, მაგალითად, ტროცკი, ბუხარინი და სხვა ბოლშევიკები რევოლუციისშემდგომ წლებში, დედაბუდიანად „ხარჯში“ რომ უშვებდნენ გაუსამართლებლად. სწორედ მათ წინააღმდეგ გაილაშქრა სტალინმა ფორმულით: „შვილი მამის დანაშაულზე პასუხს არ აგებს!“, რამაც მრავალი ყმაწვილის სიცოცხლე იხსნა, რომლებსაც შემდეგ თავიანთი მხსნელის მიმართ შურის საძიებლად ანთებოდათ გულები. ამიტომ არ მოაწერა მწერალმა ვლადიმირ სოლოუხინმა ხელი „იმ წერილს“. სასჯელის იმათზე გავრცელება, ვისაც ის პირადად არ ჩაუდენია, უსამართლობა და ველურობაა. დამნაშავის სასამართლოს განაჩენით დასჯა კი აუცილებელია, რადგან გაუსამართლებლობა ლინჩისა და შურისძიების სურვილს ბადებს. სასამართლო, რაგინდ მკაცრიც არ იყოს იგი, მაინც უფრო ჰუმანურია, ვიდრე ლინჩი. ამიტომ ევედრება ფილმ „კავკასიელი ტყვე ქალის“ პერსონაჟი საახოვი (მსახიობი ვლადიმირ ეტუში) „ტყვე ქალის გამანთავისუფლებლებს“, რომ საბჭოთა კანონებით გაასამართლონ და თვითგასამართლება არ მოუწყონ. სასამართლოს საშუალებით გასამართლება კი მადლია არა მარტო მსხვერპლისათვის, არამედ, აგრეთვე, დამნაშავისათვის. იგი შვებაა როგორც პირველის წამებული სულისათვის, ისე მეორის ქენჯნილი სულისათვის. ამიტომ იციმბირებს თავს დოსტოევსკის რასკოლნიკოვი ნებაყოფლობით. ადამიანი სხვის მიმართ ჩადენილ უსამართლობასაც განიცდის, ისტორიული პიროვნებების ჩადენილსაც. „ლეკი ან თათარი და შენი ძმა რომ ჩხუბობდნენ, სწორი სამართალი მიეციო“. „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“. Fiat justitia, et pereat mundus: „აღსრულდეს სამართალი, თუნდ დაიღუპოს ქვეყანა“. ბიძინა ივანიშვილს კი სურს, არ აღსრულდეს სამართალი... რათა დაღუპოს ქვეყანა.

**ომარ ხახაშვილი,**
ბელგიის მოქალაქე



# როგორმე ამ „ზამთარსაც“ გადავურჩებით!

**(მესამე გვერდიდან)** ქვეყანა, რომლის საგარეო მინისტრი დავიდ ოღლუ, დღეს პირდაპირ აცხადებს, რომ თურქეთის მიზანი ე.წ. დიდი თურქეთის იმპერიის აღდგენაა, ბათუმიდან, სარაევო, ბენღაზამდეო?!

ამ ფონზე, რესტორანში რუსული სიმღერის შეკვეთისათვის ცოტა ხნის წინათ აყალმაყალს მაინც აგიტეხდნენ და ნუგზარ წიკლაურის „სახალადეცე ღორის თავის“ მსგავს თავებში სერიოზულად განიხილებოდა პუშკინის, მაიაკოვსკის ძეგლების დემონტაჟის და გრიბოედოვის საფლავიდან ამოღების „პატრიოტული თემები“ — აი, ეს არის სწორედ ისტორიული უმადურობა!

### როგორმე „ზამთარს“ თუ გადავურჩით...

**და ბოლოს ეს ქვესათაური ბატონი გიორგი სიჭინავას ბრწყინვალე პუბლიცისტური წერილის — „არ უნდა დაგვავიწყდეს, თუ სად გამოიზამთრა ძნელბედობის ჟამს ქართულმა სულმა“, ზეგავლენის შედეგია, რომელიც „საქართველო და მსოფლიოს“ 37-ე ნომერში დაიბეჭდა.** თავის მხრივ, ავტორის შთაგონება კი, საქართველოდან შორს მყოფი მამულიშვილის, ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას ინტერვიუ გამხდარა. ქართველი კაცის, რომელსაც მიუხედავად სიშორისა, ნიადაგ სათაყვანებელი სამშობლოს „პულსზე უდევს ხელი“...

**— „შევარდნაძე გვპირდებოდა, რომ „მეორე შვეიცარიად“ ვიქცეოდით, სააკაშვილი დაგვპირდა, რომ „მეორე სინგაპური“ გავხდებოდით, ივანიშვილი კი „მეორე დუბაიდ“ გადაქცევას გვპირდება“...**

ძნელია, არ გაიზიარო ბატონი ჭაჭიას ირონიანარევი სიმართლე, სადაც, როგორც იტყვიან, სტრიქონებს შორის, ბუნებრივად იკითხება, რომ ჩვენ, ქართველებს, შვეიცარია-დუბაი-სინგაპური კი არა, უბრალოდ საქართველოდ დარჩენა გვინდა!

თუ არადა, ბატონ ჭაბუა ამირეჯიბს მოუსმინეთ კიდევ ერთხელ:

**— „ჩვენ არც ევროპელები ვართ და, არც აზიელები. ჩვენ ვართ ის, როგორი სულიერებითაც მოვედით ამ დალოცვილ, მაგრამ „შარიან“ მიწა-წყალზე, პლუს ის, რაც ევროპიდან და აზიიდან ვისესხეთ და გავიქართულეთ.**

**ჩვენ ქართველები ვართ!!!“**

ცხონებული ლევან სანიკიძე თავის ფუნდამენტურ ნაშრომში, „უქარქაშო ხმლები“, ხატოვნად ამბობდა, რომ საქართველოდან ნებსით თუ უნებლიეთ წასულ ყოველ ქართველს მხარზე ერთი უჩინარი ჩიტი ეჯდა და ნიადაგ ჩასძახოდა: **„ნუ გათათრდები, ნუ გათათრდები“, რამეთუ „გათათრება“, ანუ რჯულის შეცვლა გადაქართველებას, გადაჯიშებას ნიშნავდა...**

**ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ სამშობლოდან გადახვეწილებს კი არა, აქ დარჩენილებსაც დაემუქრათ „გათათრების“ საფრთხე. „XVII საუკუნეში, როსტომ ხანიდან მოყოლებული ქართველი დიდებულები იქამდე „გათათრდნენ“, რომ მაგიდასთან ქართულად ჯდომასაც კი გადაეჩვივნენ და სპარს-ოსმალთა მსგავსად მუთაქა-ხალიჩებზე წამოწოლილები ქეიფობდნენ — XVIII საუკუნის პირველ ნახევარში კი, როდესაც თბილისში, ნადირშაჰის „მოწყალებით“ პატარა კახის მამა, ქრისტიანი თეიმურაზ II ავიდა სამეფო ტახტზე, აღმოჩნდა, რომ 120 (!!!) წელი გასულიყო მას შემდეგ, რაც ქართლს ქრიატიანი მეფე აღარ ჰყოლია!..**

მას შემდეგ მეფე ერეკლემ, მამასთან ერთად და მარტომაც, ბევრი იქნია დავითფერული მახვილი, მაგრამ ისლამურ ოკეანეში მხოლოდ მისი ხმლის „ავი მუსაიფი“ რას გააწყობდა და კრწანისის ტრაგედიის შემდეგ ცხადი გახდა, რომ ჩვენი ხსნა მხოლოდ ერთმორწმუნე რუსეთთან ერთობაში იყო!

ახლა აქ არც დროა და, არც ადგილი, რუს-ქართველთა ორსაუკუნოვანი თანაცხოვრების დეტალური მიმოხილვისა, მაგრამ ერთ რამეს მაინც ვიტყვი ურაპატრიოტების გასაგონად:

**— ბაგრატოვანთა დინასტიის და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება, გადათეთრებული ფრესკები, სისხლში ჩახშობილი აჯანყებები და ა.შ. სხვა საივენი იმპერიული რუსეთისა გვახსოვს, ბატონო, გვახსოვს, მაგრამ ყველაფერი ეს ცალკ-ცალკე კი არა, ისტორიულ კონტექსტში განსახილველი, უნდოდა თუ არა რუსეთის იმპერიას, სწორედ მის წი-**

**აღში მოხდა „ქართული სულის გამოზამთრება“, ქართული მენტალობის რენესანსი და, რაც უმთავრესია, ქართველი ერის ფიზიკური გა-დარ-ჩე-ნა!!!**

სწორად შენიშნა დიდმა სტალინმა (დიახ, დიდმა, თუნდაც მაია ფანჯიკიძის ჯიბრით) 1947 წელს ბიჭვინთაში, ქართველ ისტორიკოსებთან შეხვედრის დროს — **„შეადარეთ ერთმანეთს ის ქართველები, რომლებიც რუსეთში ცხოვრობენ და ისინი, რომლებიც სპარსეთსა და თურქეთში ჩარჩნენ, რომლებმაც შეინარჩუნეს უფრო მეტად ქართველობა? თუნდაც ჰაბიტუსით, რომლებიც უფრო ჰგვანან ქართველებს? რა თქმა უნდა, რუსეთში და ეს სწორედ ერთმორწმუნეობის გამო შეძლეს“, ბრძანა „ურწმუნო“ სოსო ჯუღაშვილმა...**

— „თუ გაგვიწყრებოდა ღმერთი და დავრჩებოდით სპარსულ-თურქულ სივრცეში, მოხდებოდა კი ქართული გენის აღზევება XIX საუკუნეში? გვეყოლებოდა დღეს ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ალექსანდრე ყაზბეგი და სხვები?“

შეუძლებელია არ დაეთანხმო ბატონ გიორგი სიჭინავას, რომ არაფერი ვთქვათ XX საუკუნის ქართული კულტურის, მწერლობის, მეცნიერების რენესანსზე...

ამას წინათ, არასამთავრობო ორგანიზაცია, „ისტორიულმა მემკვიდრეობამ“ გამოსცა წიგნი, „უცნობი პუტინი“, რომლის პრეზენტაციაზედაც ახალი და ძველი ხელისუფლების წევრები და თვით რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობების „ახალი დამლაგებელი“ ზურაბ აბაშიძეც იყვნენ მიწვეულები, მაგრამ ვერავინ „ვერ მოახერხა“ მისვლა და პრეზენტაციამ მხოლოდ ჩვენი, „სამშობლოს მოღალატე რუსეთუმეების“ ამარა ჩაიარა...

**აბა ერთი ბარაკ ობამას წინადაცვეთაზე, ან გერმანიის პედერასტი საგარეო საქმეთა მინისტრის გვიდო ვესტერველეს ქორწინების პირველ ღამეზე გამოეცათ წიგნი, ხომ წარმოგიდგენიათ, როგორი კოჰაბიტაციურ-ლიბერასტური გნიასი ატყდებოდა?**

ეს ისე, ცნობისთვის, თორემ მსოფლიო პოლიტიკის რეალურად მკეთებელ ვლადიმერ პუტინს, მის მსოფლიო ავტორიტეტს მსგავსი კაცუნების იგნორი ვერაფერს დააკლებს ისევე, როგორც ვერაფერი დააკლეს მის საშინაო, გნებავთ, პოსტსაბჭოთა სივრცეში ავტორიტეტს პედერასტული შეტევით დასავლეთიდან!

წიგნის შესავალში ვკითხულობთ:

**კიდევ ერთი ისტერიკა ( კიდევ ერთი, რადგან ერთ-ერთი ედვარდ სნოუდენისთვის რუსეთში პოლიტიკური თავშესაფრის მიცემას მოჰყვა — დ. მ.) დასავლეთში, პუტინის მიერ ხელმოწერილ გეიპროპაგანდის ამკრძალავ კანონს მოჰყვა. დასავლეთი, სადაც ერთსქესიანი ქორწინებების დაკანონების პარადი მიმდინარეობს, მტკივნეულად განიცდის, რომ რუსეთში არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის პირებს სათბურის პირობებს არ უქმნიან.“**

**მართლმადიდებელმა რუსეთმა ამ კანონის მიღებით მთელ დასავლეთის პედერასტულ ნაწილს „ხელთათმანი ესროლა“, რითიც, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ტერიტორიები ოკუპირებულია, ქართველთა ჯანსაღ, ტრადიციული ღირებულებების მატარებელ ნაწილში, პატივისცემა დაიმსახურა...**

ზემოთ, ლევან სანიკიძის „ნუ გათათრდები“ ვახსენე და ახლაც იგივე საფრთხის, ეროვნული გადაგვარების წინაშე ვდგავართ ოღონდ არა ისლამიზაციის (თუმცა, ვინ იცის, თურქული ეკონომიკურ-კულტურული მცოცავი ექსპანსია თუ ასეთი ტემპებით გაგრძელდა?..), არამედ პედერასტიზაციის მეშვეობით გველის და დღეს ის „მხარზე მჯდომი ჩიტი“ ქართველებს ჩაგვძახის — **ნუ გაპედერასტდები, არა — გეიპარადებს, ერთსქესიან ქორწინებებს, ანუ, არა — სატანიზმს!**

და ჰოი, საკვირველო ირონიავ ისტორიისაო, ამ საფრთხისგან ისევ ერთმორწმუნე, მართლმადიდებელმა რუსეთმა უნდა იხსნას საქართველო, როგორც 2 საუკუნის წინ იხსნა „გათათრებისგან“...

**ამ საფრთხეებს,უპირველესად და ადეკვატურად,საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი აღიქვამს და ამიტომაც არ ეშვება რუსეთისკენ სავალ გზებს. რუსეთში, სადაც ბოლო ვიზიტისას თვით ვლადიმერ პუტინისგან ლტოლვილების დაბრუნების საკითხში დახმარების დაპირება მიიღო, მაგრამ ერეკლეს ხმლის „ავი მუსაიფის“ და ისლამის ოკეანის არ იყოს, მარტო პატრიარქი რას გახდება ამ ლიბერასტულ ოკეანეში, სადაც მისი უწმინდესობის აღმა ხნულს დაღმა ფარცხავენ ეს ნაძირლები!**

ზემოთ ჭაბუა ამირეჯიბის მიმართ „კიდევ ერთხელ“-მეთქი ვთქვი, რადგან ადრეც გამოვიყენე მისი ნააზრევი ქართველებთან დაკაშვირებით, და ახლა „კიდევ ერთხელ“ იგივეს ვაპირებ წერილის ბოლოს დიდი ილიას მიმართაც, რადგანაც თემა კვლავაც აქტუალურია:

არა მგონია, საქართველოს უგვირგვინო მეფეს, აწ წმინდა ილია მართალს არ სცოდნოდა თვითმპყრობელური რუსეთის ჩადენილი სიავენი, მაგრამ სწორედ ისტორიულ კონტექსტში გაიაზრა ყოველი და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საქართველოს რუსეთთან ძალით თუ ნებით მიერთება დადებითი მოვლენა იყო და ამიტომაც დაწერა ბრწყინვალე პუბლიცისტური წერილი **„ასის წლის შემდეგ“**, რომელიც საქართველოში რუსის ჯარის პირველად შემოსვლის 100 წლისთავს მიუძღვნა, საიდანაც გთავაზობთ ფინალს, წინამდებარე წერილის ფინალში:

**„ამ ღისსახსოვარ დღიდამ საქართველომ მშვიდობიანობა მოიპოვა. შიში მტრისა ერთმორწმუნე ერის მფარველობამ გაუფანტა. დამშვიდდა დიდი ხნის დაუმშვიდებელი, დაღალული ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დასცხრა ომებისა და ბრძოლისაგან. დადუმდა ჟღერა ხმლისა და მახვილისა, მტრისა ხელით მოღერებულისა ჩვენზე და ჩვენს ცოლ-შვილებზე, გაჰქრა ცეცხლი, რომელიც სწვავდა და ჰბუგავდა ჩვენს მამა-პაპათა ბინას, ჩვენს საცხოვრებელს, გათავდა რბევა და აკლება, მიეცა წარსულს და მარტო საშინელ და შემაძრწუნებელ სახსოვრად-ღა დაგვრჩა. დაუდგა ახალი ხანა, ხანა მოსვენებულის, უშიშარის ცხოვრებისა, სისხლდანთხეულ და ქრისტეს ჯვრისათვის ჯვარცმულ საქართველოს, რომელიც ღმერთმა სააქაო სამოთხედ გაუჩინა ადამიანს და კინაღამ ერთ დიდ სასაფლაოდ არ გადაექცა მისს თავდადებულ შვილებს, რომელნიც უმწედ, უნუგეშ, ყველასგან შორს, მარტოდ-მარტო იხოცებოდნენ ქრისტეს სარწმუნოების სადიდებლად და თავისის ვინაობის გადასარჩენად. დაიდვა საზღვარი მშვიდობის-მყოფელ ცხოვრებისა. ის დღეა და ეს დღე, ველარავინ გადმოლახა იგი საზღვარი ცეცხლითა და მახვილით ხელში და 26 ნოემბერს 1799 წელს, კვლავ სასოება-გაღვიძებული მეფე და ერი, გულწრფელად მიენდო თავისს მომავალსა, დიდი რუსეთის მფარველობის იმედითა და ნუგეშინით ფრთაშესხმული“...**

**თქვე ჩემი ცოდვით სავსე ურაპატრიოტებო! ჩემი თუ არ გჯერათ, ან ჭაბუა ამირეჯიბისა დაიჯერეთ, ან საქართველოს პატრიარქისა და ან დიდი ილიასი! თუ არადა, მაგერ გყავთ სიმონა მასხარაშვილი და სანამ თქვენ კრემლის ნანგრევებზე ქართულ დროშას ააფრიალებთ, მანამდე ვაითუ ევროკავშირ-აშშ- თურქეთი-ნატოს დროშებთან ერთად თბილისის თავზე ლგბტ დროშაც აფრიალდეს!!**



**მაგრამ არა, „თქვე სიმონებო“, როგორმე ამ „ზამთარსაც“ გადავურჩებით...**

**დავით მხეიძე**

## ალიან-ჩალიანი

### თორმეტი ათასი მაჰმადიანი მესხის ჩამოსახლებით ევროკავშირის წინაშე ვალდებულება მოხდილად ჩაითვლება

**საქართველოში რეპატრიაციის სურვილს ე.წ. მაჰმადიანი მესხების 5 ათასი ზრდასრული პირი და 9 ათასამდე არასრულწლოვანი აცხადებს.**

როგორც ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში გამართულ პრესკონფერენციაზე მინისტრმა დავით დარახველიძემ განაცხადა, რეპატრიაციის მსურველთა განცხადების მიღება 2010 წელს დასრულდა. რეპატრიანტის სტატუსი 1053 პირს მიენიჭა, ხოლო საქართველოს მოქალაქეობა — შვიდს.

დარახველიძის განმარტებით, რეპატრიაციის მსურველები აცხადებდნენ, რომ მათ ქართულად ან ინგლისურად განაცხადის გაკეთება უჭირდათ. ამიტომ, სამინისტრო მათ მოქალაქეობაზე განაცხადის შევსებაზე დაეხმარა. შედეგად რეპატრიაციის მსურველთა 90%-მა განაცხადი უკვე შეავსო და მათი საქმეები საქართველოს მოქალაქეობის მიღებაზე განიხილება.

დარახველიძემ დასძინა, რომ ამით საქართველო ევროსაბჭოსთან ე.წ. მაჰმადიანი მესხების დაბრუნების შესახებ აღებულ ვალდებულებას შეასრულებს. მოქალაქეობის მიღების შემდეგ რეპატრიანტები, როგორც საქართველოს სხვა მოქალაქეები, საცხოვრებელ სახლებს მათთვის სასურველ რეგიონში თავად შეიძენენ და ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციას მოახდენენ.

ინტერპრესი

ვითარება

# რა ჩანს ამოყრილ ბოძებს მიღმა?

**პატარა ქართულ სოფელ დვანს, რომელსაც დამრეცი მთები აკრავს და რომლის ბაღებიც მზითაა განათებული, ნამდვილად უწოდებდი ულამაზესს, რომ არა მავთულხლართები, რომელიც სოფელს კვეთს.**

**დვანში დაახლოებით 1000 მოსახლეა და ის ზუსტად იმ სადემარკაციო ხაზზე მდებარეობს, რომელიც სეპარატისტულ რეგიონს — სამხრეთ ოსეთს, დანარჩენი საქართველოსგან გამოყოფს.**

ამ უიღბლო მდებარეობის გამო სოფელი იმ ტერიტორიული დავის ფრონტის ხაზზე აღმოჩნდა, რომლის გამოც თბილისი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პრორუს ოს სეპარატისტებთან დაპირისპირებაშია.

2008 წელს, ამ სადავო რეგიონის გამო მომხდარ ხანმოკლე ომში (თითქმის ორი ათეული წლის შემდეგ, რაც საქართველოს სამთავრობო ძალებსა და ოს მეამბოხეებს შორის შეიარაღებული კონფლიქტი დაიწყო), დვანი დაბომბეს და გაძარცვეს.

და მას მერე, რაც რუსეთმა სამხრეთი ოსეთი სუვერენულ სახელმწიფოდ აღიარა, დვანმა აღმოაჩინა, რომ, მოსკოვის აზრით, ის ნამდვილ სახელმწიფო საზღვარზე მდებარეობს, საზღვარზე, რომელიც, ქართველთა თქმით, სულ უფრო ღრმად მოცოცავს მათი ტერიტორიებისკენ.




გასულ თვეს რუსულმა ჯარმა სასაზღვრო ზოლის გასწვრივ მავთულხლართების შემოვლება დაიწყო და რეალურად მოწყვიტა დვანელები მათს მიწის ნაკვეთებს, მამაპაპურ სახლებსა და სასაფლაოებს.

**„რუსეთმა ჩვენი ტერიტორიები ჩვენ უნდა დაგვიტოვოს. ჩვენ თვითონ გადავწყვეტთ ჩვენს პრობლემებს ყველასთან, იქნებიან ეს ოსები, სომხები, თუ აზერბაიჯანელები. ჩვენ ერთმანეთის გვერდით ვიცხოვრებთ, როგორც გვიცხოვრია მუდამ“,** — ამბობს ლეილა ჯანუაშვილი, დვანის მკვიდრი. **„რუსეთი აღარ უნდა ჩაერიოს, აღარ უნდა წააქეზოს ხალხი ერთმანეთის წინააღმდეგ“.**

## რუსული სასაზღვრო პატრული

**2008 წლის ომის შემდეგ, სამხრეთ ოსეთმა საკუთარი საზღვრების დაცვის უფლება რუსებს გადასცა იმ მიზეზით, რომ თვითონ სასაზღვრო პატრული არ ჰყავს.**

სასაზღვრო ზოლის 400 კილომეტრზე ორი წლის შემდეგ ლითონის ბარიერების შენება დაიწყეს, თუმცა, პროექტზე მალე თქვეს უარი და მაშინ დვანი გადარჩა.

მაგრამ დაძაბულობა არ ცხრებოდა.

როდესაც ხმა გავარდა, რომ ზოგიერთ მეზობელ სოფელში ღობეების შენება დაიწყეს, ჯანუაშვილს და მის ქმარს თეიმურაზ კოპაძეს დრო უქმად არ დაუკარგავთ, მათ სასწრაფოდ მოკრიფეს ვაშლი საზღვრის მეორე მხარეს მდებარე ბაღებში.

სხვა ადგილობრივებით მათი ოჯახისთვისაც ვაშლი შემოსავლის მთავარი წყაროა.

გასულ კვირას ისინი მძიმე გულით გაემართნენ სასაზღვრო ზოლისკენ, რადგან აღარ აქვთ იმის იმედი, რომ ოდესმე საკუთარ ბაღებში შესვლას შეძლებენ.

მათდა გასაოცრად მესაზღვრეები არსად ჩანდნენ.

არსად ჩანდა ღობეებისთვის ჩაყრილი ბოძები, ხოლო მავთული ბალახში იყო მიმოფანტული.

**„ყველაფერი მოშალეს, ბოძებიც კი, რამაც ძალიან გაგვახარა“,** — გვითხრა კოპაძემ. დაახლოებით კილომეტრ-ნახევარზე სვეტები ამოიღეს. და ბოძებიც კი, რომელიც ჩაყრილი იყო, თუმცა, არ იყო სამუდამოდ დამაგრებული, ამოიღეს და წაიღეს.

და თუმცა ღობის მშენებლობა ბოლომდე არ მიუყვანიათ, ის, რაც უკვე ააგეს, ადგილზეა დატოვებული. ასევე მოხდა მეზობელ სოფელ დიცში, ღობეების მშენებლობა უცბათ შეაჩერეს.

რუსეთის ხელისუფლება ამ მოვლენებზე ხმას არ იღებს, მხოლოდ ის განაცხადეს, რომ სამხრეთი ოსეთი აღნუსხავს თავის ტერიტორიულ საზღვრებს და ამას აკეთებს საბჭოთა რუკების მიხედვით, მაშინ კი ის საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში შედიოდა ავტონომიური რეგიონის სტატუსით.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ასევე უარყო თბილისის განცხადებები იმის შესახებ, რომ სასაზღვრო ზოლმა გადმოიწია საქართველოს ტერიტორიებისკენ და განაცხადა, რომ თუ თბილისი გააგრძელებს „პოლიტიკურ სპეკულაციებს“, ამას სერიოზული შედეგები მოჰყვება.

## დასავლეთის კრიტიკა

**შემოღობვა აშკარად იმიტომ შეაჩერეს, რომ დასავლეთიდან კრიტიკის მძლავრი ტალღა წამოვიდა.**

შეერთებულმა შტატებმა, ევროპის კავშირმა და ნატომ გასულ კვირას ხმამაღლა გამოხატეს შეშფოთება იმის გამო, რომ რუსეთის დახმარებით, დანარჩენი საქართველოსგან სამხრეთ ოსეთის იზოლირება ხდება.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა განაცხადა, რომ ეს ინიციატივა **„არ შეესაბამება რუსეთის საერთაშორისო ვალდებულებებსა და საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას“** და ადგილობრივ მცხოვრებლებს **„სირთულეებს უქმნის“.**

ევროკავშირის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა ქეთრინ ეშტონმა განაცხადა, რომ ასეთი აქტივობები **„სერიოზულ პრობლემებს“** უქმნის რეგიონის სტაბილურობასა და უსაფრთხოებას.

ყველამ ისევ მოსთხოვა რუსეთს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის აღიარების ანულირება.

რაც არ უნდა გამხდარიყო რუსული ჯარების აქედან თუნდაც დროებით წასვლის მიზეზი, დვანელებს ამ ფაქტმა შვება მოგვარა.

აქაურებიდან ზოგიერთს იმის იმედი აქვს, რომ ინციდენტი და საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება ახალ სულს ჩაბერავს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების ძალისხმევას.

**— ვერაფერი ვერ აღგვიდგენს ჩვენს დანაკარგს, მაგრამ ისევ მოგვეცა იმის იმედი, რომ ახალი მოლაპარაკებები დაიწყება“,** — ამბობს დვანელი ანო მახაჩაშვილი, — **მე მგონია, ეს იმის ნიშანია, რომ რუსები უკან იხევენ. იმედი ბოლოს კვდება. რაც არ უნდა იყოს, ჩვენ წასვლას არსად ვაპირებთ.**

## ხელისუფალნი თბილისში უფრო სკეპტიკურად არიან განწყობილნი

**საქართველოს და რუსეთს დიპლომატიური ურთიერთობები არა აქვთ და მოსკოვის სასაზღვრო პრობლემებთან დაკავშირებით ბოლოდროინდელ განცხადებებს შემრიგებლურს ვერ უწოდებ.**

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 25 სექტემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის წინაშე თავისი შეშფოთება გამოხატა. მან დაგმო ის, რასაც **„რუსი ჯარების მიერ ქართული მიწების ანექსია უწოდა“** და რუსული ჯარი იმაში დაადანაშაულა, რომ „მავთულხლართებით ხლეჩს საზოგადოებას“.

## განხეთქილება ქართველებს შორის

**მავთულხლართებმა გააღრმავა განხეთქილება საქართველოს მთავრობის შიგნით — სააკაშვილმა თავის მეტოქეს, პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს, ბრალი დასდო იმაში, რომ არ მოინახულა დაზარალებული ქართული სოფლები და მოსკოვთან დაშოშმინების პოლიტიკას ატარებს.**

მაგრამ ომი კარგად ახსოვთ ივანიშვილის ბანაკშიც.

რეინტეგრაციის მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი, რომლის მოვალეობაცაა სამხრეთი ოსეთისა და აფხაზეთის საქართველოს ფარგლებში დაბრუნების კურირება, აცხადებს, რომ რუსეთი, როგორც ჩანს, არ აპირებს საზღვრის შემოღობვაზე უარის თქმას.

ქართველებმა ძალა უნდა მოიკრიბონ დაძაბულობის შესაძლო ესკალაციისთვის, ამბობს ის.

„იმის ილუზია, რომ სიტუაცია გამოსწორდა, არ უნდა გვქონდეს. ჩვენ რუსეთისგან ამ მიმართულებით არავითარ პოზიტიურ ნაბიჯებს არ უნდა ველოდეთ“, განაცხადა ზაქარეიშვილმა. „თუ ასე მოხდა, მით უკეთესი. მაგრამ ჩვენ ისე უნდა მოვემზადოთ, რომ ჩვენი მოქალაქენი დაცულნი იყვნენ“.

მას შემდეგ კიდევ გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ღობეს ავლებენ სასაზღვრო ზოლის მახლობელ სოფელ აძვში.

**გოგა აფციაური, კლერ ბიგი**

Radio Free Europe Radio Liberty

## დედამიწის ზურგზე



**ირანში უნდათ, რომ მამაკაცი, რომელიც გადარჩა სიკვდილით დასჯის შემდეგ, ხელმეორედ ჩამოახრჩონ**

**37 წლის ალირეზა მ.-ს. მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა ნარკოტიკებით ვაჭრობის გამო. განაჩენი 9 ოქტომბერს აღასრულეს, სიკვდილმისჯილის გარდაცვალება დაადასტურეს ექიმებმა. მაგრამ, როდესაც სხეულის წასაღებად მოვიდნენ ნათესავები, აღმოჩნდა, რომ „ცხედარი“ ისევ სუნთქავდა. ამჟამად მამაკაცს გაძლიერებით მკურნალობენ ექიმები, მაგრამ მხოლოდ იმისთვის, რომ ციხის მუშაკებმა საქმე ბოლომდე მიიყვანონ.**

* * *

**აშშ-ს სენატმა მოილაპარაკა საბიუჯეტო კრიზისიდან გამოსვლის შესახებ, მაგრამ ჯერჯერობით გადაწყვეტილება არ გამოუცხადებიათ**



**ზოგიერთი მონაცემებით, კონგრესის ზედა პალატის დემოკრატებსა და რესპუბლიკელებს იმედი აქვთ, აღადგინონ ასიგნება ფედერალური სამინისტროებისა და უწყებების სრულფასოვან მუშაობაზე 2014 წლის 15 იანვრამდე ვადით. კანონპროექტი ასევე ითვალისწინებს ფინანსთა სამინისტროსთვის უფლებამოსილებათა მინიჭებას, რომელიც ნებას იძლევა, გასცენ შემდგომი სესხები.**

* * *

**ფილიპინებზე ძლიერი მიწისძვრით 100 კაცზე მეტი დაიღუპა**



**სულ ცოტა 107 კაცი დაიღუპა და 270-ზე მეტმა მიიღო ჭრილობები ფილიპინების სამ პროვინციაში მიწისძვრის შედეგად, რომლის ამპლიტუდაც 7,1 იყო. მიწისძვრის ეპიცენტრი არის კუნძულ ბოჰოლის რაიონში ადმინისტრაციულ ცენტრ კარმენიდან რამდენიმე კილომეტრში. კერა 33 კილომეტრის სიღრმეზეა კუნძულის ტერიტორიაზე.**

* * *

**ჟენევაში ირანთან მოლაპარაკების პოზიტიური შედეგი კითხვის ნიშნის ქვეშაა, ამტკიცებს წყარო რუსეთის დელეგაციაში**

**„ყველაფერი უფრო რთულადაა, ვიდრე დილით გვეგონა. საგანგაშო მდგომარეობაა“. 16 ოქტომბერი მოლაპარაკების მეორე დღეა და იგი შეეხება ირანის „ბირთვული დოსიეს“ მოწასრიგებას. შეხვედრა დაიწყება მოგვიანებით: „ექვსეულს“ მეტი დრო დასჭირდება ირანის წინადადებათა შესასწავლად.**



ნობელიანტები – 2013



მარტინ კარპლიუსი



მაიკლ ლევიტი



არი ვარშელი

# უზარმაზარი წვლილი ქიმიის განვითარებაში

9 ოქტომბერს შვედეთის სამეფო მეცნიერებათა აკადემიამ გამოაცხადა ქიმიაში ნობელის პრემიის სამი ლაურეატი: პროფესორი **მარტინ კარპლიუსი** (სტრასბურგის, ჰარვარდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტების წარმომადგენელი), პროფესორი **მაიკლ ლევიტი** (სტენფორდის უნივერსიტეტი) და პროფესორი **არი ვარშელი** (სამხრეთ კაროლინის უნივერსიტეტი). ყველაზე პრესტიჟული ჯილდო მათ გადაეცათ „კომპლექსური ქიმიური სისტემების მრავალმასშტაბიანი მოდელების განვითარებისათვის“.

ნობელის კომიტეტის განცხადებაში ნათქვამია, რომ კარპლიუსმა, ლევიტმა და ვარშელმა 1970-იან წლებში საფუძველი ჩაუყარეს მძლავრ კომპიუტერულ პროგრამებს, რომლებიც გამოიყენება ქიმიური პროცესების შესწავლისა და პროგნოზირებისათვის. ამ პროგრამებს შეუძლია ქიმიურ რეაქციებში უმცირესი ცვლილებების მონიშვნა, მათი დახმარებით უფრო ფართოდ იყო შესწავლილი, სხვა რამეებთან ერთად, მცენარეთა ფოტოსინთეზი, აგრეთვე გამონაბოლქვი გაზების გაწმენდის პროცესი.

კარპლიუსს აქვს აშშ-ისა და ავსტრიის მოქალაქეობა, ლევიტი აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და ისრაელის მოქალაქეა, ვარშელი აშშ-ისა და ისრაელის პასპორტების მფლობელია. სამივენი ებრაულ ოჯახებში აღიზარდნენ; როგორც ვხედავთ, რამდენიმე ქვეყანას შეუძლია ქიშპობა ერთი და იგივე ახალი ნობელიანტის „სამშობლოში“...

მარტინ კარპლიუსი დაიბადა ვენაში, 83 წლისაა. 1938-ში იმისი ოჯახი აშშ-ში გაიქცა. მეცნიერის მთელი მოღვაწეობა ჰარვარდის უნივერსიტეტთანაა დაკავშირებული.

მაიკლ ლევიტი პრეტორიაშია დაბადებული, 66 წლისაა. 1980-იან წლებში ვეიცმანის ინსტიტუტში მუშაობდა და მაშინ მიიღო ისრაელის მოქალაქეობა.

არი ვარშელი 1940 წელს დაიბადა ისრაელში, სდე ნახუმის კიბუცში. სამხედრო სამსახურში კაპიტნის ჩინს მიაღწია, მერე სამეცნიერო ხარისხი მოიპოვა ჰაიფას ტექნიონში. ერთხანს ვეიცმანის ინსტიტუტში მუშაობდა (რე ხოვოტი), შემდეგ დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ის უნივერსიტეტებში გააგრძელა მეცნიერული საქმიანობა.

საგულისყუროა, რომ ამ სამიდან არც ერთს ექსპერტები არ ასახელებდნენ საპრემიო ფავორიტთა რიცხვში (კიდევ ერთი მაგალითი, თუ როგორი სიურპრიზები სჩვევია ზოგჯერ ნობელის კომიტეტს). ერთ-ერთ ძირითად პრეტენდენტად ისინი მიიჩნევდნენ ამერიკელ ქიმიკოსს უილიამ მერნერს – ცალკეულ მოლეკულათა სპექტრომეტრის შემქმნელს, ვარაუდობდნენ, რომ ის გაიყოფდა ჯილდოს მასკანირებელი ელექტროქიმიური მიკროსკოპის ავტორთან ალენ ბარდთან ერთად.

მოელოდნენ ბერკლიში ამერიკული კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორის ბრიუს ეიმსის ლაურეატობას – ის გახლავთ ქიმიურ შენაერთთა მუტაგენური პოტენციალის შესაფასებელი გენეტიკური ტესტის ავტორი; და კიდევ, იორდანიაში დაბადებული და აშშ-ში მომუშავე ომარ იაგის ლაურეატობასაც ელოდნენ, რომელმაც შექმნა მსოფლიოში ყველაზე დაბალსიმკვრივიანი ნანოკრისტალი.

კანდიდატად მიიჩნევდნენ აგრეთვე დანიელ ნოსერს, ამერიკელ სწავლულს, რომელმაც „ხელოვნური ფოთოლი“ გამოიგონა: მას შესწევს უნარი მზის სინათლე გამოიყენოს ჟანგბადად და წყალბადად წყლის დასაშლელად. შესაძლო კანდიდატად ასახელებდნენ ამერიკელ (აშშ) რიჩარდ ზარსაც, ლაზერული ქიმიის ცნობილ მკვლევარს.

ანალიტიკოსები ლაურეატობას უწინასწარმეტყველებდნენ რუსეთიდან წასულ და აშშ-ში მომუშავე ვალერი ფოკინს „კლიკ-ქიმიის“ დარგში შრომებისათვის – ეს სფერო საშუალებას იძლევა ახალ ნივთიერებათა სწრაფი სინთეზირებისას, პრაქტიკულად „გვერდითი“ პროდუქტების წარმოუქმნელად. კიდევ ერთ პოტენციურ რუსეთელ ნობელიანტად ასახელებდნენ ქიმიკოს არტემ ოგანოვს, რომელიც მუშაობს ნიუ-იორკის უნივერსიტეტში (სტოუნი-ბრუკში) და მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მან კოლეგა მიქელე პარინელოსთან ერთად შეიმუშავა „მასალების კომპიუტერული მოდელირების რევოლუციური მეთოდები, კერძოდ, კრისტალების სტრუქტურებისა“.

როგორც ვხედავთ, ბევრი ქიმიკოსი იყო „ჩაფიქრებული“ და გახმიანებული ნობელის პრემიაზე იმ სამის გამოკლებით, რომლებიც ნობელიანტები გახდნენ. ამ დროს რუსეთელმა ვალერი ფოკინმა, ერთ-ერთმა ფართოდ გახმიანებულმა კანდიდატმა, შვედი აკადემიკოსების გადაწყვეტილებას სამართლიანი უწოდა: „ნობელის კომიტეტს ყოველთვის სამართლიანი „განაჩენები“ გამოაქვს. ამჟამინდელი ლაურეატების შრომებმა უზარმაზარი წვლილი შეიტანა ქიმიის განვითარებაში.

კომიტეტის წარმომადგენელმა კი აი, რა აღნიშნა: **„ქიმიური რეაქციების მოდელირებისათვის საჭიროა, ვისარგებლოთ ფიზიკისა და ქიმიის ორი სრულიად განსხვავებული ასპექტით – კვანტური ფიზიკითა და კლასიკური ფიზიკით. კვანტური ფიზიკა ქიმიური რეაქციის დაწვრილებითი განხილვის საშუალებას იძლევა: ეს მეთოდი დიდ კომპიუტერულ სისტემებს მოითხოვს, რაც ძალიან ძნელია. ნიუტონის ფიზიკა საკმაოდ მარტივია. ერთობ რთულია ამ მოდელების შეთავსება და იმის გაკეთება, რომ მათ ერთმანეთს ხელი ჩამოართვან. სამი ლაურეატის წვლილი ისაა, რომ მათ უზრუნველჰყვეს ეს საიდუმლო ხელისჩამორთმევა და შექმნეს ფიზიკურ-ქიმიური თეორია, როგორც ერთიანი მთელი“.**

დიახ, ნობელის ქიმიკოსმა ლაურეატებმა „დაამეგობრეს“ კლასიკური მექანიკა (ნიუტონი) და კვანტური ფიზიკა (შრედინგერი) – ასეთი დასკვნაც გამოიტანეს სპეციალისტებმა კომიტეტის გადაწყვეტილების კვალდაკვალ. სამი ნობელიანტის მიერ აწყობილი კომპიუტერული მოდელები რეალობას ასახავს და საკვანძო ელემენტად იქცა თანამედროვე მოწინავე ქიმიური გამოკვლევებისათვის. მათ მიერ დამუშავებული მეთოდების მოხმობით მილიწამამდე სიზუსტით აღიწერება ქიმიური პროცესების ფართო წრე, გამონაბოლქვი გაზების კატალიტური გაწმენდიდან დაწყებული, მწვანე მცენარეებში ფოტოსინთეზამდე.

დღევანდელი ლაურეატები თურმე ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში იდგნენ იმ პროგრამების შექმნის სათავეებთან, რომლებიც გამოიყენება ქიმიური რეაქციების მიმდინარეობის გაგებისა და გამოცნობისათვის. ჩვენს დროში კომპიუტერული მოდელირების გარეშე ვერც ერთი სერიოზული გამოკვლევა ან აღმოჩენა ვერ მოხერხდება, ცოცხალი სისტემების კომპიუტერული მოდელები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ქიმიისა და ბიოლოგიის პირაპირზე წამოჭრილი პრობლემების შესწავლაში.

ამჟამინდელი ნობელის კვირეული სათვალავით კია უკვე 112-ე, მაგრამ ქიმიაში პრემიები წელს მხოლოდ 105-ჯერ მიანიჭეს. სხვადასხვა მიზეზის გამოისობით ამ დარგის სწავლულები რამდენიმე წელიწადს იყვნენ მოკლებული ჯილდოს.

**ნათია თამარაშვილი,**
**თამაზ ეგანოიძე**

SIC!

# ნაციონალები ხალხს მალულად ისევ უსმენენ

**ევროპელებისათვის უმთავრესი ღირებულება კერძო საკუთრების ხელშეუხებლობაა. დღეს, როდესაც ქონებაწართმეული ან იძულებით საკუთრების გამჩუქებელი ბიზნესმენები ახალი ხელისუფლებისგან ითხოვენ კუთვნილის უკან დაბრუნებაში დახმარებას, მთავრობა მძიმე და უხერხულ მდგომარეობაშია. ერთი მხრივ, ყველამ იცის, რომ ბიზნესმენებისათვის, მეწარმეებისათვის ქონება მართლა წართმეული აქვთ, ან იძულებით აქვთ გაჩუქებული, მეორე მხრივ, არსებობს ამ ქონების ახალი, შესაძლებელია, კეთილსინდისიერი მფლობელი. ივანიშვილმა რომ მათთვის ქონების ჩამორთმევა დაიწყოს, ისედაც ჩასაფრებულ უკეთურ „ნაციონალებს“ მეტი რა უნდათ, უმალ ემისრებს აფრენენ ევროპარლამენტში, ევროკავშირში, თავიანთ მფარველ სახალხო პარტიაში და ისინიც დაუყოვნებლივ დაიწყებენ საქართველოს და მისი ხელისუფლების ათასგვარი ეპითეტით შემკობას. არ არის გამორიცხული, „ოცნება“ ბოლშევიკებს შეადარონ და ბრალი დასდონ კერძო საკუთრების ძალისმიერი მეთოდებით ჩამორთმევასა და ქონების ნაციონალიზაციაში.**

**ამის გამო ხელისუფლება ფრთხილად ეკიდება ამ საკითხს. ივანიშვილის განმარტებას, რომ პრობლემა ურთულესია, და მისდამი მიდგომაც ღრმად გაანალიზებული უნდა იყოს, ხოლო პროცესი შეიძლება დროში უსაშველოდ გაიწელოს, დაზარალებულ ბიზნესის წარმომადგენლებში არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. ბევრი მათგანი გააღიზიანა კიდეც.**

წინა მთავრობის მიერ დაზარალებული ბიზნესმენების საქმეების გამოძიება ამ დროისათვის შეჩერებულია. გამოძიება დაახლოებით 67 საქმეზე იყო შეჩერებული. დასრულებული არც ერთი არაა. მათი შეჩერების მიზეზი გაურკვეველია, – აცხადებს კომპანია „კავკასუს ონლაინის“ ყოფილი მეპატრონე და მოძრაობა „დააბრუნეს“ დამფუძნებელი **მამია სანადირაძე**.

მას პრემიერის სიტყვები მოჰყავს, როდესაც ბიძინა ივანიშვილმა თქვა, რომ **ბიზნესის დაბრუნება ურთულესი პრობლემაა და ეს ბიუჯეტს შეიძლება 7 მილიარდი ლარი დაუჯდეს.**

ბიზნესმენი კომენტარს უკეთებს მის ნათქვამს. თუ არ გამოიძიეს, როგორ დაადგენენ სახელმწიფოს მხრიდან გადასახდელ თანხას. მართალია, სახელმწიფო სტრუქტურები – პროკურატურა, შსს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური და ფინანსური პოლიცია ძარცვავდნენ ბიზნესმენებს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ დაზარალებულთა 100 პროცენტს დავა სახელმწიფოსთან აქვს ან მომავალში ექნება, – **მიაჩნია „კავკასუს ონლაინის“ ყოფილ მეპატრონეს.**




იგი ამტკიცებს, რომ დაზარალებულთა 80 პროცენტს დავა აქვს ან ექნება კერძო პირებთან ან კომპანიებთან. ამის დასტურად საკუთარი მაგალითი მოჰყავს, რომ იგი ედავება არა სახელმწიფოს, არამედ კერძო კომპანიას, რომელმაც მისი კომპანია უკანონო, ძალადობრივი გზით მიითვისა.

„დააბრუნეს“ დამფუძნებელი არ გამორიცხავს, რომ პროკურატურაში შეტანილი 20 ათასი განცხადებიდან ნახევარზე მეტი გამოგონილი იყო. ამის გამოა საჭირო გამოძიების დაწყება, მიაჩნია ქონებაწართმეულ ბიზნესმენს. იგი დარწმუნებულია, რომ საწარმოები, რომლებიც პატიოსან ბიზნესმენებს ჩამოართვეს, წინა ხელისუფლებასთან დაახლოებული ბიზნესჯგუფების ხელში გადავიდა. **მთავრობის შეცვლის შემდეგ, ამბობს სანადირაძე, ეს ადამიანები საწარმოებში თანხების რეინტეგრირებას აღარ ახდენენ და ფულის კუპიურები მყარი ვალუტის სახით საზღვარგარეთ გააქვთ. ამ დროს კი ბიზნესწართმეული ხალხი სამართლიანობის აღდგენის მოლოდინშია. ისინი განაახლებენ საკუთარ საქმიანობას. მათი გამოცოცხლება დადებითად დაეტყობა ბიუჯეტსაც. მაგრამ ამას ჯერჯერობით ვერ ახერხებენ, რადგანაც საგამოძიებო პროცესი შეჩერებულია.** ამას კი „კავკასუს ონლაინის“ ყოფილი მეპატრონე დანაშაულად აღიქვამს და თვლის, რომ **ეს არის დანაშაულისთვის ხელის დაფარება.**

ბიზნესმენი იგონებს ნაცმოძის პერიოდში საკუთრების წართმევის, იძულებითი ჩუქების სქემებს. მაგალითად, რადიოსიხშირეების შემთხვევაში მფლობელს იბარებდნენ რომელიმე მაკონტროლებელ ორგანოში და პირდაპირ ეუბნებოდნენ, რომ ამა თუ იმ პიროვნებისათვის, კომპანიისათვის უნდა გადაეფორმებინათ საკუთრება. თუ ბიზნესმენი გაჯიუტდებოდა „ჩუქებაზე“ ან გადაფორმებაზე, მას უმალ მაკონტროლებლებს მიუგზავნიდნენ, რომლებიც, რასაკვირველია, დარღვევებს პოულობდნენ. მცირე ოდენობისთვისაც კი აპატიმრებდნენ. ციხეში კი მესაკუთრე ყველაფერზე ხელს აწერდა – ქონების ჩუქებაზე, გადაფორმებაზე. თუ რომელიმე სეგმენტის ხელში ჩაგდება უნდოდათ, ფირმის ყველა ხელმძღვანელ მუშაკს, დამფუძნებელს, მონაწილეებს აპატიმრებდნენ. იქ კი ყველაფერი „ტექნიკის საქმე“ იყო. ხშირად ხელისუფლება შანტაჟზე მიდიოდა. ოჯახის რომელიმე წევრის პიკანტური ისტორიისა და ფარული ჩანაწერების გახმაურების მუქარით, ქონებას ართმევდნენ. და ყველაფერი ამის უკან იდგა კრიმინალური ბანდდაჯგუფება საკაშვილის თავკაცობით, ამტკიცებს სანადირაძე.

იხ. 11 გვ.

სამბო

# 18 მედლით — სალონიკიდან



**სამი ოქროს, ხუთი ვერცხლისა და ათი ბრინჯაოს მედალი — ასეთი ნადავლით დაბრუნდნენ ბერძნული სალონიკის მსოფლიოს პირველობიდან საქართველოს ახალგაზრდა და ჭაბუკ სამბისტთა ნაკრები გუნდები, რომლებმაც გუნდურ ჩათვლაში რუსების შემდეგ მეორე ადგილები დაიკავეს.**

განსაკუთრებით ჭაბუკებმა იყოჩაღეს — გუნდის 10 წევრიდან ერთმა ოქროს, ორმა ვეცხლისა და ხუთმა ბრინჯაოს ჯილდო დაიმსახურა. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა გიორგი მეტრეველი (60 კგ). ქართველმა სამბისტმა ზედიზედ სძლია ბერძენ ნიკოს ივანიდისს, ბელარუს ალეჰ ნაჰორნის, ყაზახ აიბეკ აიმაგამბეტოვს, ხოლო ფინალში რუსი პაველ ტერეხოვი დაჯაბნა. მხოლოდ გადამწყვეტი პაექრობები დათმეს და მეორე ადგილებზე ირაკლი კუპატაძე (52) და აპოლონ ზურაბიანი (75) გავიდნენ, ბრინჯაოს კი თორნიკე ჭოველიძე (65), გიგა ნოზაძე (70), ირაკლი გოგია (81), ჯონი ჭითანავა (87) და გიორგი ლაზუაშვილი ((87) დასჯერდნენ.

ახალგაზრდებშიც 10 ჩოხოსანი გავიდა ხალიჩაზე და მათგან შვიდმა ჯილდოებით დაიმშვენა მკერდი. ოქროს მედალი არავის დაუთმო უშანგი მარგიანმა (82). ახლახან მან ძიუდოში თანატოლთა ევროპის პირველობაზე მხოლოდ მერვედფინალს უწია. სამაგიეროდ, სამბოში შეასრულა დუბლი — კვიპროსში ევროპის პირველობა მოიგო. სალონიკიში ჯერ უკრაინელი იური პოზნარი დაჯაბნა, მეორე წრეში საბერძნეთის სახელით მოჭიდავე ივანე გომართელს აჯობა. ნახევარფინალში ყაზახი იერასილ კაირბეკი ჩამოიშორა გზიდან, გადამწყვეტი პაექრობა კი მოლდოველ გენადი ფრეტივატს მოუგო.

მარგიანის გარდა, ფინალში კიდევ სამი ქართველი გავიდა, მაგრამ თემურ ხაჩიძემ (90), თორნიკე ოთინაშვილმა (100) და გუგა კიბორძალიძემ ((100) ბოლო შეხვედრები დათმეს და ვერცხლის მედლებს დასჯერდნენ. მესამე ადგილები გიორგი მელქუაშვილმა (48), თორნიკე მუზაშვილმა (57) და მიხეილ მეზურნიშვილმა (74) დაიკავეს.

საქართველოს დელეგაციას 1 ოქრო და 2 ბრინჯაო გოგოებმა მოუტანეს. ჩემპიონი გახდა ელენე ქებაძე ((80). ქართველმა მოჭიდავემ პირველ წრეში სერბი მილიცა ზაბიჩი დაჯაბნა, მერე რუს ანასტასია ტრაპეზნიკოვასაც აჯობა, ფინალში ბულგარელი სიან ხრისტოვა დაამარცხა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. ნინო მარტიაშვილი (60) და თეა სუხიტაშვილი (68) მესამე ადგილებს დაყაბულდნენ.

**ლექსო ცინცაძე**

ფეხბურთი

# ესეც თუ პროგრესია!



**შური შურია — გინდ თეთრი უწოდეთ მას და გინდაც — შავი.**

**ჰოდა, მიდი და ნუ შეგშურდება ჩვენი მეზობლების, რომლებმაც მაშინ, როცა საქართველოს ეროვნული ნაკრები სააღდგომოდ დასაკლავად ბაწარგამობმული ბატკანივით განწირული გავიდა სათამაშოდ ალბასეტეს სტადიონზე, საკუთარი გულშემატკივრები გაახარეს და საგაისო მუნდიალის შესარჩევი ტურნირის ფინიშზე ყულაბა ძვირფასი ქულებით გაიმდიდრეს:** სომხებმა იტალიაში ფრედ დაასრულეს მატჩი — 2:2, თანაც ორჯერ იგებდნენ ბრძოლას, ხოლო აზერბაიჯანელები სულაც თავის თავს გადაახტნენ და რუსეთთან ანგარიში ბოლო წუთზე რიცხვნაკლულებმა გაათანაბრეს — 1:1.

საოცარი კიდევ, იცით, რა არის? თურმე „ჯვაროსნები“ პროგრესს განიცდიან. დიახ, თუ ქართული ფეხბურთის მამებს და, კონკრეტულად, გუნდის თავკაც თემურ ქეცბაიას მოვუსმენთ, სანერვიულო არაფერი გვქონია. მაშ, რა ვუყოთ პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებს შორის მხოლოდ ჩვენივე ჯგუფის მაჩანჩალა ბელარუსზე უკეთესი შედეგი რომ ვაჩვენეთ, მოუგებელ შეხვედრათა სერია შვიდამდე რომ ავიყვანეთ ან შესარჩევი რაუნდი სამიოდე გატანილი ბურთით რომ დავასრულეთ? თანაც, სანთლით რომ ეძებოთ, გოლების ავტორთა შორის თავდამსხმელს ვერ იპოვით.

ეჰ, ჩასაფრებულობა რომ არ დაგვწამონ, ცხელ გულზე ეს ვიკმაროთ და დანარჩენი ემოციების დაცხრობის შემდეგ ვთქვათ.

**ესპანეთი — საქართველო 2:0.**

**გოლები:** ნეგრედო, მატა.

**საფრანგეთი — ფინეთი 3:0.**

**გოლები:** რიბერი, სანია, ბენზემა.

**საბოლოო მდგომარეობა:** ესპანეთი — 20, საფრანგეთი — 17, ფინეთი — 9, საქართველო — 5, ბელარუსი — 4 ქულა.

ამრიგად, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ითამაშებენ ჯგუფების გამარჯვებულნი ბელგია, იტალია, გერმანია, ჰოლანდია, შვეიცარია, რუსეთი, ესპანეთი, ბოსნია და ინგლისი, ხოლო მეორეადგილოსნები ხორვატეთი, შვედეთი, რუმინეთი, ისლანდია, პორტუგალია, საფრანგეთი, საბერძნეთი და უკრაინა ორმატჩიან პლეიოფში კიდევ ოთხ მონაწილეს გამოავლენენ. მათი ბრძოლები ნოემბერში გაიმართება.

**გია პლატონიშვილი**

კალათბურთი

# მეგობრობას საზღვრები არა აქვს!

**მოგეხსენებათ, შარშან საერთაშორისო საკალათბურთო სტუდენტური ლიგა შეიქმნა (პრეზიდენტი ვლადიმერ პერეგუდოვი), რომელშიც წლეულს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდიც გაწევრიანდა (მთავარი მწვრთნელი ნიკოლოზ დერიუგინი). მაშინ, როცა ჩვენებური სუპერლიგის დამდეგ სეზონში უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლები ველარ ითამაშებენ, ერთ დროს თანამემამულეთა მხარდამხარ ასპარეზობა მართლაც რომ მისწრებაა.**



ალბათ, ეს კარგად აქვთ გათავისებული კალათბურთელთა კავშირის მესვეურებს (მიხეილ ახვლედიანი), რომლებმაც ახალ სარბიელზე დებიუტი გრანდიოზული ღონისძიებით აღნიშნეს.

შოუ ქართველ და დსთ-ს ქვეყნების ვეტერანთა შეხვედრით გაიხსნა, რომელიც სტუმრებმა მოიგეს — 66:53. სამწუხაროდ, მათ შორის ვერ ვიხილეთ ლეგენდარული სერგეი ბელოვი, რომელიც რამდენიმე დღის წინათ გარდაიცვალა. რაც შეეხება კიდევ ერთ ოლიმპიურ ჩემპიონ სერგეი ტარაკანოვს, მეგობრებმა ისეთი გულთბილი დახვედრა მოუწყვეს, რომ სპორტის სასახლის ნაცვლად ნაბახუსევზე საუნაში აღმოჩნდა.

საღამოს გვირგვინად სტუ-ს და მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადებიუტო დუელი იქცა. მართალია, მათიაშვილის ძალისხმევით მასპინძლებმა ყინჩად დაიწყეს მატჩი და 21:10 დაწინაურდნენ, მაგრამ შემდგომში უპირატესობას ლომონოსოველები დაეუფლნენ და იძალეს კიდეც — 83:75. მათმა ლიდერმა მარკინმა 30 ქულას მოუყარა თავი.

პოლიტექნიკოსთა მორიგი მეტოქე როსტოველები მომავალ კვირაში გვეწვევიან, ხოლო შემდეგ უკრაინულ ტურნეს ხარკოვსა და კიევში მოვაწყობთ.

**ვიტალი ჯაფარიძე**

წყალბურთი

# გაიმარჯვა ჭაბუკთა ნაკრებმა

**ხუთი მასპინძელთა და ერთი ჰანოვერის გუნდი მონაწილეობდა თბილისის საერთაშორისო ტურნირში, რომელშიც 13-17 წლის წყალბურთელები მონაწილეობდნენ.** შესანიშნავად იასპარეზა 1998-2000წლებში დაბადებულ ჭაბუკთა ნაკრებმა (გიორგი კუჭუხიძე, ნიკა ლეთოდიანი, გიორგი ღავთაძე, ნიკა ცანკაშვილი, ირაკლი მარგველაშვილი, გიორგი მაგრაქველიძე (კაპიტანი), გიორგი თეთრაძე, ნუგზარ სებისკვერაძე, გიორგი მესხი, მიხეილ გვენცაძე, რამინ ჩოგოვაძე, გიორ-



გი წულუკიანი, დავით ცხაკაია, დავით ჯუღაშვილი, სანდრო ადეიშვილი, დავით ივანიშვილი, მწვრთნელები — ირაკლი კიკალიშვილი, ოთარ ქოიავა). ოთხი თვის წინათ ჩამოყალიბებულმა გუნდმა ზედიზედ ხუთი შეხვედრა მოიგო და უდანაკარგოდ, ანუ 15 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. სტუმრებს 9 ქულით მესამე ადგილი ხვდათ.

**საბოლოო ცხრილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნაკრები | 5 | 5 | 0 | 0 | 55:36 | 15 |
| 2. ლიგამუსი | 5 | 4 | 0 | 1 | 75:40 | 12 |
| 3. ჰანოვერი | 5 | 3 | 0 | 2 | 67:36 | 9 |
| 4. ივერია | 5 | 2 | 0 | 3 | 42:49 | 6 |
| 5. ქუთაისი | 5 | 1 | 0 | 4 | 32:76 | 3 |
| 6. არენა | 5 | 0 | 0 | 5 | 27:61 | 0 |

**გივი გაგუა**

ნიჩბოსნობა

# მცხეთამ უმასპინძლა

**სვეტიცხოვლობის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით, მცხეთაში სხვა საინტერესო ღონისძიებებთან ერთად სპორტული პაექრობებიც გაიმართა. განსაკუთრებული ინტერესი მტკვარზე ნიჩბოსნობამ გამოიწვია.** 200 მეტრზე გოგონები და ვაჟები სხვადასხვა ასაკში კანოეთი და ბაიდარებით (კაიაკი) ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. შეჯიბრებაში თბილისის, მცხეთისა და დუშეთის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. გაუწყებთ გამარჯვებულთა ვინაობას:



**კანოე. ერთადგილიანი. 1996 წელს და უფრო ადრე დაბადებულნი.** ზაზა ნადირაძე (მცხეთა, 0.45). **2000 წელს დაბადებულნი და უმცროსები.** მორის უშიკაშვილი (დუშეთი, 2.10). **ორადგილიანი, ყველა ასაკი.** გიორგი შაბურიშვილი, მალხაზ ჭინჭარაშვილი (დუშეთი, 0.54).

**ბაიდარა. ერთადგილიანი. 1996 წელს და უფრო ადრე დაბადებულნი.** გიორგი მარტოლეკი (მცხეთა, 0.42), გოგონები 1997—1999 წ.წ. დალი სვიანაძე (მცხეთა, 1.03). **ვაჟები. 1997—1999 წ.წ.** გელა ფიცხელაური (თბილისი, 0.45). **გოგონები. 2000 წ. და უმცროსები.** იანა ყარსიმაშვილი (დუშეთი, 1.05). **ბიჭები 2000 წ. და უმცროსები.** ლევან ტატუნაშვილი (თბილისი, 0.57). **ვაჟები. უფროსები. ორადგილიანები.** გიორგი მარტოლეკი, ლევან სოსელია (მცხეთა, 0.42). **1997-1999 წ.წ. გოგონები.** ნინო ჯიქურაული, ანა ჯიქურაული (დუშეთი, 0.52). **ბიჭები. 1997-1999 წ.წ.** ვალერი რთველიაშვილი, სულიკო ირემაშვილი (მცხეთა, 0.44), **გოგონები. 2000 წ. და უმცროსები.** სალომე ჯიქურაული, ნინო ხოსროშვილი (1.02), **ბიჭები. 2000 წ. და უმცროსები.** ლევან ტატუნაშვილი, ლუკა გილაური (თბილისი, 0.58),

ოქტომბრის ბოლოს — ნოემბრის დასაწყისში საქართველოს თასის მესამე ეტაპი გლდანის „თეთრ ტბაზე“ გაიმართება.

**ლაშა დიდია**

**სურათზე: ზაზა ნადირაძე.**
**ვაჟა დანელიას ფოტო.**

SIC!

# ნაციონალები ხალხს მალულად ისევ უსმენენ

(მეცხრე გვერდიდან)

## პოლიციელები – „კავკასუს ონლაინის" უნიფორმაში

**ბიზნესმენი ამბობს, რომ იმ პერიოდში მის საკუთრებაში მყოფი პორტილები „presa.ge" და „aitivi.ge" ინტერნეტ სივრცეში საკმაოდ პოპულარულები იყვნენ და მოსახლეობას ქვეყანაში არსებული რეალური ვითარების შესახებ აწვდიდნენ ინფორმაციებს.** ნაცებმა სცადეს სანადირაძის თავიანთ კონტროლქვეშ მოქცევა. იგი ამ გარიგებაზე არ წავიდა. მაშინ „ვარდოსნებმა" მისი მოკავშირედ გარდაქმნა მოისურვეს, ინტერნეტის ქსელის დასამონტაჟებლად წასულ მის თანამშრომელთა ჯგუფში რამდენიმე პოლიციელიც ჩაერთო, რათა „კავკასუს ონლაინის" უნიფორმაში გამოწყობილ შსს-ს თანამშრომლებს გამომძახებელ ოჯახებში ფარული ჩაწერის კამერები დაემონტაჟებინათ. ამაზეც ვერ დაითანხმეს იგი, რადგანაც მიაჩნდა, რომ მას კრიმინალისაკენ უბიძგებდნენ. სანადირაძე ხელს არავის ადებს, მაგრამ დარწმუნებულია, რომ მისი მსგავსი პროფილის კომპანიები გარიგებაზე წავიდოდნენ (განსაკუთრებით „ნაცებთან" დაახლოებული და მათგან ხელდასხმულები) და დღეს არავის ეგონოს (თუნდაც მისთვის კომპანიის წამრთმევი პირები), რომ მოსმენები ნაციონალებმა შეწყვიტეს — დაბეჯითებით ამბობს „კავკასუს ონლაინის" ყოფილი მფლობელი.

კომპანია სულ უფრო ძლიერდებოდა. სპეციალისტების პროგნოზით 5 წელიწადში მისი ღირებულება ერთი მილიარდი ლარი იქნებოდა. ასეთი მომძლავრებული კომპანიის „ვარდოსნების" კონტროლს გარეშე დარჩენა მათ გეგმებში ნამდვილად არ შედიოდა. მისი მფლობელი მმართველ ძალასთან არც გარიგებებში შედიოდა. „ნაცებმა" აპრობირებულ მეთოდს მიმართეს და კანონიერ მფლობელს ქონება იძულების წესით ჩამოართვეს.

## „გამჩუქებელ" და ბიზნესწართმეულ ბიზნესმენთა გეგმები

**არასამთავრობო ორგანიზაცია „დამიბრუნეს" დამფუძნებელი აცხადებს, რომ თუ გამოძიება არ განახლდა და არ დაიწყო დაზარალებულ, რეპრესირებულ მესაკუთრეთათვის ქონების დაბრუნების პროცესი, პროტესტის სხვადასხვა ფორმებს მიმართავენ. იგი აცხადებს, რომ აპირებს სტრასბურგში ჩასვლას, უფლებათა დამცველებთან შეხვედრას და მათთვის არსებული სიტუაციის გაცნობას.** იგი აგრეთვე აპირებს სთხოვოს მათ, დაზარალებულთა უფლებების აღდგენაზე ევროსტრუქტურების მხრიდან მონიტორინგის დაწესება. **ჩვენ საკუთრების უფლებების შელახვას აღარ დავუშვებთ. თუ არის კანონიერი ქვეყანა და გვსურს ევროპა გავაოცოთ, კანონის ფარგლებში უნდა ვიმუშაოთ,** მიაჩნია „კავკასუს ონლაინის" ყოფილ მეპატრონეს. იგი იმედოვნებს, რომ პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი საქმეს აქამდე არ მიიყვანს და ყველაფერი გაკეთდება, რათა სამართლიანობა აღდგეს.

ზაზა ბილიხოძე

ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ქართული ეთნოლოგიური სკოლისა და ტრადიციების გამორჩეული გამგრძელებელი, ამაგდარი მოღვაწე, ნათელი პიროვნება

**კოტე ჩოლოყაშვილი**

და თანაუგძრნობს განსვენებულის ოჯახს.

კრიმინალი

## შს სამინისტრომ საბრძოლო მასალა ამოიღო

**როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროდან იტყობინებიან, ვაკე-საბურთალოს სამმართველოს მე-5 განყოფილების თანამშრომლებმა ჩატარებული სპეციალური ოპერატიული ღონისძიების შედეგად, 1974 წელს დაბადებული ზაზა ქ. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.**

**— სამართალდამცველებმა დაკავებულის საცხოვრებელი სახლიდან „ჩე-ზე„-ს ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი და სხვადასხვა სახის 65 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.**

ინფორმაცია

# ექვს თვეში საზღვრისპირა სოფლებში გაზიფიცირების პროცესი დასრულდება

**ამის შესახებ ლია ელოშვილმა გამყოფ ხაზებთან მდებარე სოფლების საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა.**

**მისი თქმით, 43 სოფლის სია მიიღო, რომლებიც გამყოფი ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარეობენ.**

— არ არის გამორიცხული, რომ ამ სიაში ხაშურის რამდენიმე სოფელიც დაემატოს. საერთო ჯამში, საუბარია 10 000 ოჯახამდე, რომლებიც ამ სოფლებში ცხოვრობენ. ჩვენ ვმუშაობთ ორი მიმართულებით. ეს არის ინდივიდუალური გამრიცხველიანება და გაზიფიცირება, — განაცხადა ილია ელოშვილმა.

მისივე განმარტებით, ყველა სოფელში, რომლებიც აღნიშნულ სიაში იქნებიან, ინდივიდუალური გამრიცხველიანება 2014 წლის მეოთხე კვარტლის ბოლომდე დასრულდება.

— რაც შეეხება გაზიფიცირებას, ნებისმიერ შემთხვევაში, ვიღებთ ვალდებულებას, რომ პირველი ნოემბრიდან 6 თვის განმავლობაში ყველა სოფელი, რომელიც ამ არეში იქნება, ყველა აბონენტი იქნება გაზიფიცირებული. ხაზს ვუსვამ, ეს ნიშნავს იმას, რომ ყველა ოჯახში შევა გაზი, — განაცხადა ილია ელოშვილმა.

ინტერპრესი



ჩვენი კარაბადინი

# სიმპტომები, რომელთა უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება

**ავადმყოფობა, უმეტესწილად, იმაზე გაცილებით ადრე იწყება, ვიდრე მისი სიმპტომები გამოვლინდება, ამბობენ ექიმები. ძალიან ბევრ სნეულებას ლატენტური, ანუ ფარული ფორმები აქვს, რომელთა შორის ქრონიკული დაღლილობა პირველი საგანგაშო ნიშანია. ჩვენ ხშირად გვგონია, რომ გადავიღალეთ, ან ვერ გამოვიძინეთ, სინამდვილეში კი რაღაც სნეულება უკვე შეყრილი გვაქვს. ისეთი გავრცელებული დაავადებაც კი, როგორიცაა ჰიპერტონია, ხშირად დიდი ხნის მანძილზე თავს არ იჩენს: ადამიანს შეიძლება წნევა 160 მმ ჰქონდეს, თავს კი მშვენივრად გრძნობს და, მიუხედავად ამისა, ინფარქტი მოსდის! ამიტომაც, აუცილებელია ჯანმრთელობის მდგომარეობის რეგულარული კონტროლი, სპეციალისტების რეკომენდაციების შესრულება. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ ბევრი ჩვენგანი თავადვე ცდილობს თავის განკურნვას, არადა, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია აბის კატეგორიული წინააღმდეგია. რომელიმე წამლის აბის დალევას ექიმები მხოლოდ ჯანმრთელობის მდგომარეობის უმნიშვნელო და არასისტემური გაუარესების დროს არ ეწინააღმდეგებიან. მაგრამ არის სიმპტომები, რომელთა გამოვლინების დროს ექიმთან მისვლა არავითარ შემთხვევაში არ უნდა დააყოვნოთ.**

### 1. წნევის აწევ-დაწევა

არტერიული წნევის ნახტომისებრი ცვლილებები შეიძლება უამინდობის ბრალი იყოს, მაგრამ თუ ისინი გამუდმებით მეორდება, მაშინ საჭიროა ექიმის კონსულტაცია. თუკი წნევამ რამდენჯერმე 140/90 მმ-ზე მეტად აგიწიათ, ეს, შესაძლოა, თირკმლის ანთების ან ჰორმონალური აშლილობის ნიშანი იყოს.

### 2. მუცლის მწვავე ტკივილი

ამის მიზეზი შეიძლება იყოს აპენდიციტის შეტევა, ქალებში საშვილოსნოსგარეთა ორსულობა, მოწამლვა, მრავალი სხვა. თუკი ტკივილი დავარდნის შემდეგ წარმოიშვა, ამის მიზეზი შეიძლება ელენთის დაზიანება, ან შიდა სისხლდენა იყოს, ამიტომ ამ დროს სასწრაფოდ ექიმს უნდა მიაკითხოთ. აუცილებლად გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ დროს არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გამაყუჩებელი ან სპაზმოლითური პრეპარატების მიღება, რადგან ისინი ორგანიზმის იმჟამინდელ მდგომარეობას აბუნდოვანებენ, დიაგნოზის დადგენა რთულდება, ამასობაში კი ძვირფასი დრო მიდის.



### 3. თავის მძაფრი ტკივილი

თავის ტკივილის 40-ზე მეტი მიზეზი არსებობს — დაწყებული სისხლძარღვთა ტონუსის დარღვევიდან ტვინის სიმსივნით დამთავრებული. გარდა ამისა, მას ასევე იწვევს დაძაბულობა, რომელსაც ქალაქში თითქმის ყველა მომუშავე უჩივის; კომპიუტერთან ან სამუშაო მაგიდასთან ერთსა და იმავე მდგომარეობაში დიდხანს უხერხულად ჯდომა და ფიზიკური დატვირთვის დეფიციტი; სამწვერა ან სახის ნერვის ანთება, რასაც უფრო ხშირად ქალები უჩივიან; ბოლო დროს კი ამის მიზეზი ხშირად ხდება... გამაყუჩებლების ჭარბი მოხმარება — რაც უფრო მეტ ანალგეტიკურ პრეპარატს სვამთ, თავის ტკივილი მით უფრო მეტად გიძლიერდებათ.



### 4. გულის ჩხვლეტა

გულის ჩხვლეტის მიზეზის დადგენა ბევრ ჩვენგანს არ შეუძლია (გარდა იმ შემთხვევისა, თუკი გულის ქრონიკული დაავადება არა აქვს). გულის ტკივილის მიზეზი შეიძლება იყოს ოსტეოქონდროზი, ფილტვები, ქალებში კი კლიმაქსიც კი!

თუკი გულის მკვეთრმა ტკივილმა პირველად შეგაწუხათ, ეს, შესაძლოა, რომელიმე ანთებითი პროცესის დაწყების ნიშანი იყოს. თუ ტკივილი პერიოდულად გიტევთ და 5-10 წუთზე მეტ ხანს გრძელდება, მაშინ, სავარაუდოდ, ეს შეიძლება გარკვეული ხნის წინათ შეყრილი სნეულების ნიშანი იყოს, ამდენად დიაგნოზის დადგენაზე აუცილებლად დროულად უნდა იზრუნოთ.

# გაიმაგრეთ გული!

**გულის სისხლძარღვთა დაავადებები, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, გავრცელებულ სნეულებათა შორის ფაქტობრივად ყველა კონტინენტზე პირველობს. გული ბევრ ჩვენგანს აწუხებს, ამდენად რამდენიმე უბრალო რჩევა, რომელთა შესრულება მის ნორმალურ მუშაობას შეუწყობს ხელს, ვფიქრობთ, არა თუ რაიმე პრობლემის მქონე, არამედ სრულიად ჯანმრთელი ადამიანებისთვისაც სარგებლის მომტანი იქნება.**

### ბევრი არ ჭამოთ!

გულის ნორმალური მუშაობისთვის აუცილებელია სრულფასოვანი კვება — ცილებიც, ნახშირწყლებიც და მიკროელემენტების შემცველი ვიტამინებიც საჭირო ოდენობით უნდა მიიღოთ. ყველაზე მავნე კი ბევრის ჭამაა. თუკი კუჭი საკვებითაა გამოტენილი, მაშინ, ფიზიოლოგიურადაც კი, მიოკარდზე დატვირთვა ძლიერდება. კარდიოლოგებს საგანგებო ტერმინიც აქვთ — „სუფრის გული", როცა გულის შეტევა, რომ იტყვიან „ღორმუცელობითაა" გამოწვეული. ამიტომაც ექიმები სუფრიდან ოდნავ მოშიებულად ადგომას გვირჩევენ.

### გულის მეგობრები — ოხრახუში და ნიახური

გამოკვლევებით დადგინდა, რომ დღეში 100-150 გრამი ნიახურის მოხმარება ორგანიზმს ფტალიდების ოპტიმალური ულუფის მიღების საშუალებას აძლევს, რომლებიც კუნთოვან ქსოვილებს ადუნებენ, რაც სისხლძარღვთა სპაზმებისგან თავის არიდებასა და სისხლის მიმოქცევის გაუმჯობესებას უწყობს ხელს. ოხრახუშის ახლადგამოწურული წვენი კი (ნახევარ ჭიქა წყალზე ჩაის კოვზი, ანდა დღეში 30-40 გრამი მწვანილი) არტერიულ წნევას დაბლა სწევს.

### გულის „კოქტეილები"

ნორმალურ არტერიულ წნევას გულის ნორმალური მუშაობისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. მათ, ვინც მაღალ წნევას უჩივის, ექიმები დილაობით ერთი ჭიქა ძახველის კენკრის წვენის დალევას ურჩევენ, რომელსაც 15-20 წვეთი ექნაცეა უნდა დაუმატოთ. გარდა ამისა, მეტად მარგებელია თაფლიან-ლიმნიანი ვარდკაჭაჭას ნახარშის სმა. მათთვის კი, ვისაც დაბალი წნევა აქვს, ტონუსის ასაწევად და ინფექციებისადმი წინააღმდეგობის გასაწევად კარგია ჟენშენიანი მწვანე ჩაის, ან მაყვლის დაშაქრული კოჭას ნახარშის სმა.

გულისთვის ასევე სასარგებლოა პამიდვრის წვენი, რომელიც აქტიურ ოქსიდანტ ლიკოპინს, უჯრედოვანასა და კალიუმს შეიცავს, რომლებიც გულის სისხლ-ძარღვთა სისტემას უხდება. პამიდვრის წვენი ამცირებს არტერიულ და თავის ქალის შიდა წნევას, მისი სმა კარგია ჰიპერტონიისა და გულის უკმარისობის დროს.



ნორმალურად მუშაობის დროს ჩვენი გული მთელი დღე-ღამის განმავლობაში წუთში 60-70-ჯერ იკუმშება, რითაც მთელ ორგანიზმს სისხლით კვებავს, რისთვისაც ძალიან ბევრი ძალაა საჭირო. გულის გამტარობის მოშლა კი ბევრ, მათ შორის, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, სასიამოვნო რამესაც შეუძლია, ვთქვათ, საყვარელ ადამიანთან შეხვედრასაც კი. ამიტომ, გულზე სხვადასხვა აღმგზნები ფაქტორის ზემოქმედების შესასუსტებლად ორგანიზმს კალიუმი და მაგნიუმი სჭირდება, რომლებიც გულის გამტარობის ამაღლებას უწყობს ხელს. ამ ელემენტებს კი უხვად შეიცავს ლობიო, ქიშმიში, შეცხობილი კარტოფილი, თუმცა კი ზედმეტი არ იქნება, თუკი მათ სპეციალური კომპლექსური სახითაც მიიღებთ.

გულის ძახილი

# მომავლისაკენ, ქართველო ერო!



საქართველოს მთლიანობას ვნატრობ,
არ ვნებდები ამ ცხოვრების ზვირთებს,
ოცნებას ვთხოვ, არ დამტოვოს მარტო,
მომავალი გულში იმედს მინთებს. . .

მთვარე ამოდის, მამულს გარს უვლის,
შავი ღრუბლების ბოლო კვალს
წაშლის,
სიყვარულია გამთბობი გულის,
მამულის, დედის, მეუღლის, ბავშვის.

ვიწრო ბილიკით ავდივარ ხვამლზე,
ოცნებით ცაზე ვარსკვლავებს ვაწყობ,
დღეს გავისარჯოთ, თუ გვინდა
ხვალ მზე,
მომავალს უნდა აგებდეს აწმყო.

დაველოდები აისის ნათელს,
სიო ნისლს დევნის ხევებში მცოცავს,
ხატს დავუჩოქებ, ავანთებ სანთელს,
სულს აფრთიანებს მამულზე ლოცვა.

არ მავიწყდება წინაპრის მადლი,
აქ ულოციათ დავითს და თამარს,
წელგამართული მხოლოდ ის დადის,
ვინც შურს გულიდან დევნის,
არ მალავს.

კაცისთვის მარტო არ კმარა ძალა,
ხმალს ვერ მოიქნევს მშიშარა, მხდალი,
მწვერვალზე მხოლოდ მამაცი ავა,
დღეს უნდა შექმნა იმედი ხვალის.

ღმერთი არ სწირავს სიკეთის მთესავს,
მისთვის ღიაა სამოთხის კარი,
ვერ მოახვევენ ჩვენს ბარს და მთებს ავს,
ქრისტეს რწმენაა სულისთვის ფარი.

არ გავახარებ, ავკაფავ ძეძვებს,
კურთხეულ მიწას დავიცავ მკერდით,
ჭეშმარიტება გზის პოვნას შეძლებს,
ღვთისმშობელს ერის ერთობას
ვვედრი.

ერს მომავლისკენ ერთობა დაძრავს,
შუღლსა და მტრობას რა მოაქვს
ვიცით!
მახათას მთაზე ავაგებთ ტაძარს,
ვერავინ დაგვძლევს შეკრულებს
ფიცით.

თეთრად ქათქათებს მანდილი დედის,
ცისარტყელებმა მოხატეს ზეცა,
მამულის დაცვა ვალია მხედრის,
არ მინდა ჩემი ოცნების შეცვლა.

P. S.
ჩვენ მხოლოდ ერთად გავიტანთ
ლელოს,
გუმბათზე ჯვრები უბრწყინავთ
ტაძრებს,
მომავლისაკენ, ქართველო ერო!
მზე მიგვიძღვება და იმედს გვაძლევს.



იუზა ჩაკვეტაძე

ჩვენი პრესდაიჯესტი



## რა საერთაშორისო პროვოკაციას ამზადებენ „ნაციონალები"?

„ნაციონალები ისევ პროვოკატორობენ, ისევ ცდილობენ, როგორმე არიონ სიტუაცია... მაგალითად, ამ დღეებში ბაქოში უკვე გაიხსნა საარჩევნო შტაბი, სადაც საქართველოდან უნდა ჩავიდნენ კომისიის წევრები. და იცით, ვის აგზავნიან „ნაციონალები?" ვინმე დიანა ვართანოვას, ეროვნებით სომეხს. აქ ზუსტად ისეა საქმე, როგორც ერთ ქართულ გამონათქვამში, ვირს პიტნა ეჯავრებოდა და მაინც ცხვირში ატენიდნენო. არა, ხომ იცის „ნაცმოძრაობამ", რომ აზერბაიჯანელები და სომხები დანასისხლად არიან გადაკიდებული? სად აგზავნიან ვართანოვას, რომ აგზავნიან? რატომ იმეტებენ ასე? შეიძლება იქ რამე მოხდეს და სააკაშვილს მიეცემა სალაპარაკო.

„ალია"

## ნოემბრიდან საპატრულო ჯარიმები ნახევრდება, ნასვამი მძღოლი კი, 200 ლარის ნაცვლად, 6 თვე მართვის უფლების ჩამორთმევით დაჯარიმდება

ჯარიმების ტარიფის გადახედვაზე „ოცნებაში" საუბარი ჯერ კიდევ ივლისში დაიწყეს. ჯარიმების გადახდის ვადა 1-დან 3-თვემდე იზრდება. უსაფრთხოების ქამრის გამოუყენებლობის შემთხვევაში, 40-ის ნაცვლად 20-ლარიანი ჯარიმა გაფორმდება. საჯარიმო სანქციები მცირდება სიჩქარის გადაჭარბებისას შუქნიშნის ამკრძალავ ნიშანზე გავლის წესის დარღვევის შემთხვევაშიც.

„ვერსია"

## „თუ „ნაცმოძრაობა" მეორეზე ვერ გავიდა, შეიძლება რიგგარეშე არჩევნები დაინიშნოს"

– ფიქრობს ექსპერტი კახი კახიშვილი და წინასაარჩევნო გარემოსა და „ნაცმოძრაობის" მხრიდან რეგიონებში ხელისუფლების ბერკეტების გამოყენებაზე საუბრობს. „ნაციონალური მოძრაობა" ოპოზიციური პარტია არ არის. მას ძალიან ბევრი სახელისუფლებო ბერკეტი ხელში აქვს და აქტიურად იყენებს. ამავდროულად, საარჩევნო ადმინისტრაციაც მის ხელშია, ამიტომ, ბუნებრივია, ისინი ამ ბერკეტების გამოყენებას შეეცდებიან, განსაკუთრებით რეგიონებში".

„რეზონანსი"

## არასამთავრობოები კალაძისა და ივანიშვილის წინააღმდეგ გაერთიანდნენ

„ქართული ოცნება" თავისი დაპირებების შესრულებაში აშკარად მოიკოჭლებს. რამდენი დაპირება იყო და რამდენი დარჩა შეუსრულებელი ახლა ამაზე არ ვისაუბრებთ. ამჯერად ერთ შეუსრულებელ დაპირებაზე გავამახვილებ ყურადღებას. ეს ბოლო დროს ერთ-ერთ მტკივნეულ თემად იქცა. შარშან მეოცნებეები პირობას დებდნენ, რომ საქართველოში გიგანტური ჰესები აღარ აშენდებოდა. ამის პირობა პირადად ბიძინა ივანიშვილმა მისცა სვანეთის მოსახლეობას, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ კი ივანიშვილი ლამის თავად ჩაუდგეს სათავეში ხუდონჰესის მშენებლობას. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ კალაძეს კიდევ დიდხანს მოუწევს აქტიურობა. მოსახლეობა დათმობაზე არ მიდის. გააქტიურდა არასამთავრობო სექტორიც. ამ დღეებში აქციების გამართვაც იგეგმება. გუშინ კი არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილმა კალაძისა და ივანიშვილის სახელზე მიმართვა გაავრცელა.

„ახალი თაობა"

ცინცხალი ანეკდოტები

– ქვირფასო, მე რომ შენი ქმარი ვაცდუნო, მაინც დაქალები ვიქნებით? – ეკითხება დაშა დაქალს.
– არა.
– აბა, მტრები გავხდებით?
– არა.
– აბა, ვინ ვიქნებით?
– ბარიბარს ვიქნებით.

* * *

– მიხო, გეყოფა სმა!
– არა ვსვამ, კაცო... სულიერ ტრავმებს ვიშუშებ.

* * *

– მამი, თელავიდან მთვარეა უფრო შორს თუ თბილისი? – ეკითხება შვილი მიხოს.
– რა გინდა, ბიჭო, რა შემიჭამე გული ამდენი შეკითხვით! მიდი ფანჯარასთან. მთვარეს ხედავ?
– ვხედავ.
– თბილისს?



* * *

– მამი, რა არის სექსი? – ეკითხება პატარა ნიკა მიხოს.
მიხო ცდილობს, როგორმე მოხერხებულად აუხსნას, მაგრამ ამით გაბეზრებული შვილი აწყვეტინებს:
– მამი ძალიან გაუნათლებელი ხარ... სექს – ექვსია, სევენ – შვიდი...

* * *

ავტომობილი ფუფუნება არ არის, ფუფუნება ბენზინია.

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში"
299-62-77; 599 32-85-76.

კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში"
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24